

171  
1974

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  განათლების  
მინისტროს

ბაკანაბათა და ინსტრუქციათა

კრებული

2

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თ ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ

თბილისი 1974



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებებსა და ინსტრუქციასა

ქ რ ე ბ უ ლ ი

2

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

თბილისი 1974

კ. შარქოსი  
სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა

სამართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974  
წლის 17 იანვრის ბრძანება № 41

წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებისა და  
ზოგი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის  
შემოწმების შედეგების  
შესახებ

როგორც განათლების სამინისტროს სკოლების სამართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, წყალტუბოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები, მათი ხელმძღვანელები და განათლების განყოფილება გარკვეულ დადებით მუშაობას ეწევიან მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის სრულყოფის, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლის დასამთავრებლად.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაიონის სკოლებისა და განათლების განყოფილების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ (ივ. შელაძემ):

ა) განახორციელოს ღონისძიებანი განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა სკოლებში სასწავლო პროცესის თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაფერისად ამალლებისათვის. ამ მიზნით, პერიოდულად შეისწავლოს სკოლების მუშაობის სხვადასხვა საკითხი, კვალიფიციური ანალიზი გაუქეთოს არსებულ მდგომარეობას და მკვეთრად აამაღლოს სკოლების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის დონე;

ბ) მეტი ყურადღება მიექციოს სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, სასკოლო მიწის-წყლის ველების, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებით აღჭურვას, განახორციელოს ღონისძიებანი სასკოლო შენობების მოვლის, სკოლების ეზოებსა და ნაკვეთებში მწვანე ნარგავთა გაშენების უზრუნველსაყოფად; მკაცრად დასჯოს იმ სკოლების ხელმძღვანელები და ცალკეული მუშაკები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სკოლის სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობის საქმეს;

გ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს სასკოლო მუშაობის დაგეგმვის საქმეში შემჩნეული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სამუშაო გეგმები გახადოს უფრო მოქნილი, კონკრეტული, ოპერატიული. აღკვეთოს გეგმით გათვალისწინებული საკითხების შეუსრულებლობა; ამ მიზნით, მკვეთრად გააძლიეროს სკოლებში შინასასკოლო კონტროლი და დახმარება მასწავლებელთა მუშაობაზე;

დ) მიიღოს გადამჭრელი ზომები სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის მოსაწესრიგებლად. გააძლიეროს კონტროლი სკოლების ხელმძღვანელობისადმი, უზრუნველყოს საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელება;

ე) არსებითად გარდაქმნას რაიონის სკოლების ხელმძღვანელ და პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა. მიიღოს მასზე დამოკიდებული ყველა ზომა, რათა სკოლის ხელმძღვანელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად იყოს საბუნებისმეტყველო ციკლის რომელიმე საგნის სპეციალისტი. მომავალში არ დაუშვას მასწავლებლად არასპეციალისტთა დანიშვნის არც ერთი შემთხვევა;

ვ) მიიღოს ზომები რაიონის სკოლების მუშაკთა მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და განზოგადებისათვის. ბოლო მოუღოს ისეთ ვითარებას, როდესაც ცალკეული სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები წლების მანძილზე გამოდიან მათ გვერდით მომუშავე მოწინავე მუშაკების საქმიანობის პასიური მაყურებლის როლში და სრულიადაც არ ცდილობენ მიბაძონ მათ; პირდაპირ ინდივიდუალური დავალებანი მისცეს ასეთ მუშაკებსა და შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს საჭირო ორგანიზაციული ზომები;

ნეროდულად შეისწავლოს სკოლებში ახალი პროგრამები-  
თა და სახელმძღვანელოებით მუშაობის მდგომარეობა და მიიღოს  
ზომები ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების  
ასამაღლებლად; მკვეთრად გააუმჯობესოს სკოლებში პოლიტიკური  
სწავლება;

თ) საეციალურად შეისწავლოს რაიონის სკოლებში მოსწავლე-  
თა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის მდგომარეობა და მიიღოს საჭირო ზომები მათ გასაუმჯობესებლად; დაავალდებულოს პედაგოგიური კაბინეტი, მოაწყოს სასკოლო მუშაობის ამ საკითხებზე არაებული პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის გამოფენა და სკოლების მუშაკთათვის მისი საფუძვლიანი გაცნობა;

ი) მიიღოს ზომები აუცილებელი პოლიტიკური, პედაგოგიურ-მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შევსებისა და მათი მუშაობის მოსაწესრიგებლად. აამაღლოს ბიბლიოთეკების როლი ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეში;

კ) გაატაროს ღონისძიებანი სწავლა-აღზრდის საქმეში სკოლისა და ოჯახის კავშირის შემდგომ განსამტკიცებლად. სკოლის მუშაობის საკითხებით დაინტერესოს არამარტო მშობლები, არამედ ფართო საზოგადოებრიობა. გააღლიეროს პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდა მშობელთა შორის. დაუყოვნებლივ მოაგვაროს ქ. წყალტუბოში მშობელთა უნივერსიტეტის გახსნის საკითხი;

ლ) ეს ბრძანება და განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათი, სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით, განიხილოს განათლების განყოფილების სახალიო განათლების საბჭოსა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

2 წყალტუბოს რაიონის სკოლების დირექტორებმა ჩმედითი ზომები მიიღონ საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განსახორციელებლად, საყოველთაო საშუალო სწავლებაზე გადასვლის დასამთავრებლად და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის დონის ასამაღლებლად; ამ მიზნით, მკვეთრად გააუმჯობესონ შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათი გაკეთილების ანალიზს. ფართო ადგილი დაუთმონ სკოლებში მოწინავე გამოცდი-

ლების შესწავლა-განზოგადებას და მიაღწიონ მასწავლებელთა პე-  
დაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ამაღლებას.

3. წყალტუბოს რაიონის სკოლების მასწავლებლები მეტოქეობით სუბსტიტუციური მოქმედებით თაყიანთი სამსახურებრივი მოვალე-  
ობის შესრულებას, არ დაუშეან არც ერთი გაკვეთილის მოუმზა-  
დებლად ჩატარების შემთხვევა, გულმოდგინედ იმუშაონ საკუთარი  
მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად,  
ფართოდ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება და სწავლების  
თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

4. საგნის სწავლების არაღამაკმაყოფილებლად დაყენებისა და  
მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო, თერნალის დაწყებითი  
სკოლის მასწავლებელს ს. ჟორჯოლიანს, წყალტუბოს მესამე და გე-  
გუთის საშ. სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავ-  
ლებლებს ნ. ჩხილაძესა და მ. კილაძეს, ოფშკვითის საშ. სკოლის  
რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს დ. მჟავანაძეს,  
ცხუნკურისა და ოფურჩხეთის საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლ-  
ებელს ლ. სვანიძესა და ლ. ამყოლაძეს, მუხიანის სკოლის ფიზიკა-  
მათემატიკის მასწავლებელს თ. ტორაძეს, ცხუნკურისა და ოფშკ-  
ვითის საშ. სკოლების ქიმიის მასწავლებლებს გ. სვანიძესა და ნ. კა-  
პანაძეს, ოფშკვითის საშ. სკოლის ისტორია-საზოგადოებათმცოდ-  
ნეობის მასწავლებლებს ვ. მარგველაშვილს და ვ. კეპულაძეს გა-  
მოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. სასწავლო-აღმზრდელით მუშაობაზე არაღამაკმაყოფი-  
ლებელი ხელმძღვანელობის გამო ქ. წყალტუბოს მესამე და ოფურ-  
ჩხეთის საშუალო სკოლების დირექტორებს რ. ტყაბლაძესა და  
ნ. ქარჩხაძეს გამოეცხადოთ საყვედური.

6. სკოლის სასწავლო-აღმზრდელით მუშაობაზე არაღამაკ-  
მაყოფილებელი ხელმძღვანელობის, აგრეთვე საგნის სწავლების  
ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადების გამო სას-  
წავლო-აღმზრდელითი მუშაობის დარგში გეგუთის საშუალო  
სკოლის დირექტორის მოადგილეს და ქართული ენისა და ლიტე-  
რატურის მასწავლებელს ნ. ბოდოკიას გამოეცხადოს სასტიკი საყ-  
ვედური.

7. მიიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობისადმი სუსტი ხელმ-  
ძღვანელობის გამო ოფშკვითის საშუალო სკოლის დირექტორი  
ბ. ძო უაშვილი და ამავე სკოლის დირექტორის მოადგილე სას-

წავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის დარგში ლ. ბეშქენაძე გათავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობებიდან;

ბ) წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელს ე. შვანგირაძეს, საგნის სწავლების ცუდად დაყენების გამო, განათლების განყოფილებამ უკვე ჩამოართვა ქიმიის საათები.

8. წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) გეგუთისა და ცხუნკურის საშუალო სკოლების გერმანული ენის მასწავლებლები თ. ლიკლიკაძე და თ. სვანიძე, როგორც არასპეციალისტები, რომლებიც ვერ ასწავლიან ამ საგანს, სათანადო წესის დაცვით გაათავისუფლოს სამუშაოდან;

ბ) აღმინისტრაციული სასჯელი დაადოს განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში აღნიშნულ არადაამკმაყოფილებლად მომუშავე იმ მუშაკებს, რომლებიც ამ ბრძანებით არ არიან დასჯილნი;

გ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინოს დასკვნა გეგუთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ ნ. ბოდოკიას დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ;

დ) შეისწავლოს ფაქულტატიური მეცადინეობის მდგომარეობა და იმ სკოლებში, სადაც სათანადო პირობები არ არის, გააუქმოს იგი.

10. აღინიშნოს სკოლებისადმი წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილების (ივ. მელაძე) არასაკმარის ხელმძღვანელობა.

11. წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებამ ა/წლის 10 ივნისისათვის მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

12. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) განხორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

1974 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

## საქართველოს სსრ განათლების მინისტრს

ახს. თ. ვ. ლაშქარაშვილს

### მოსსენებითი ბარათი

წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებისა და  
ზოგი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის  
შესწავლის შედეგების შესახებ

მიმდინარე, 1973 წლის 19-დან 25 ნოემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილის ს. დვალის (ხელმძღვანელი), ამავე სამმართველოს სასკოლო ინსპექტორების თ. მეღვაძის, ე. ქურციკიძისა და აღ. შანავას, განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის დ. კომლაძის, განათლების სამინისტროს შრომითი და პროფორიენტაციის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტის ირ. ბაქრაძის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მეთოდისტების შ. ჩხეიძის, გრ. ხეცურიანის, თბილისის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტის აღ. ალასანიას, ქ. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მასწავლებლების — კ. კიკაჩიშვილისა და გ. გედენიძის შემადგენლობით შეისწავლა წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებისა და ამავე რაიონის ზოგი სკოლის მუშაობა.

შესწავლილ იქნა ქ. წყალტუბოს მესამე, ცხენკურის, გუზიანის, ოფშკვითის, გეგუთისა და ოფურჩხეთის საშუალო, მექვენის რვაწლიანი, აგრეთვე თერნალის, მალაკისა და მექვენის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

გამორკვეა, რომ წყალტუბოს რაიონში სათანადო ღონისძიებანი ხორციელდება სკოლების სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. უკანასკნელ წლებში აიგო წყალტუბოს მესამე და დერჩის საშუალო, ტყაჩირის, მესხეთისა და სორმონის რვაწლიანი, თერნალისა და გუმბრის დაწყებითი სკოლების შენობები, საკლასო ოთახები მიუშენდა გვიმტიბისა და გუგუთის საშუალო სკოლებს. ყოველწლიურად ივსება სკოლები 30 ათასი მანეთის საერთო ღირებულების ინვენტარითა და კაბინეტ-ლაბორატორიების თვალსაჩინო მასალებით. ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლას ცალ-ცალკე აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები.

რაიონში მუშაობს 21 საშუალო, 19 რვაწლიანი, 22 დაწყებითი და 3 საღამოს სკოლა. შემცირდა ორ ცვლაში მომუშავე სკოლების რაოდენობა. ამჟამად 47 სკოლაში მეცადინეობა ერთცვლიანია, 15-ში კი — ორცვლიანი.

მაგრამ, ზემოხსენებულ წარმატებებთან ერთად, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

რაიონის მთელ რიგ სკოლებში არასაკმაო მუშაობა ტარდება სკოლების როგორც არსებული სასწავლო-მატერიალური ბაზის მოვლა-პატრონობის, ისე მისი განმტკიცება-გამდიდრებისათვის. არა მარტო წყალტუბოს რაიონისათვისა. არამედ თვით რესპუბლიკის ბევრი სკოლისათვის მისაბაძია მუხიანის საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. შ. ნიშნიანიძე) სანიმუშოდ მოვლილი სასკოლო შენობა თავისი კაბინეტ-ლაბორატორიებით, სააქტო და სპორტული დარბაზებით, გემოვნებით გაფორმებული დერეფნებითა და საკლასო ოთახებით, სასკოლო მიწის ნაკვეთით, მწვანეში ჩაფლული სკოლის ეზოთი და ა. შ.

ახლა უკვე რესპუბლიკის ფარგლებსაც კი გასცდა ამბავი სოფ. მეჭევენის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის ვლ. ნემსაძის სანიმუშოდ მოწყობილი სასკოლო მიწის ნაკვეთისა, თავისი თვალწარმტაცი დენდრარიუმით, ნამდვილი ტყე-პარკით, სადაც ლაღად იზრდება 427 ძირი ფიჭვი, ნაძვი და სოჭი, 50 ძირი მთის ჩაღუნა, 60 ძირი თეთრი და წითელი ყაყაჩო, 45 ძირი ირმის ენა, 120 ძირი კლდის ძირტბილა, 25 ძირი წყავი და შქერი, 15 ძირი ბაძვი და სხვ. მცენარე. ამ სკოლაში სულ 60 მოსწავლეა, მაგრამ მათ შეძლეს არა მარტო თავისი სკოლის ნაკვეთის სანიმუშოდ მოწყობა,

არაშედ საოფლო საბჭოსა და საუბნო საავადმყოფოსაც დაეხმარნენ მათი ტერიტორიის გამწვანებაში; სკოლამ ლენინგრადელ მეცნიერ-მუშაეებსა და სოქის რაიონის სოფ. პლასტუნკის სამუშაო სკოლას გაუგზავნა მსოფლიოში უნიკალური ხორბლის ჯიშების — „ზანდურიას“ და „მახას“ თესლი. ნორჩი ნატურალისტები და მხარეთმცოდნეები წარმატებით მონაწილეობენ მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების მუშაობაში. მათი საქმიანობით დაინტერესდნენ აკადემიკოსები ნ. კეცხოველი და ვლ. მენაბდე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრა კი შეფობას უწევს სკოლას...

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი სკოლების გვერდით, მათი საქმიანობის პასიური მაყურებლის როლში გვევლინება რაიონის არაერთი სკოლა. ქ. წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლის (დირექტორი თ. იოსელიანი) სახურავიდან ჩამონადენი წყალი აზიანებს შენობის კედლებს სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეზე, ჩამტვრეულია ფანჯრები, დაზიანებულია ეზოს ღობეც. ფარცხანაყანევის მეორე რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ე. აბესაძე) ეზოში. სწორედ ჭიშკართან, დგას ასწლოვანი მუხა, რომელსაც, როგორც ჩანს, ნიაღვარმა ნიადაგი გამოაცალა, პატრონი არ აღმოაჩნდა, რომ ფესვები კვლავ მიწით დაეფარა, ხისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, რათა მის ჩრდილში ბავშვებს დასვენების თუ თავისუფლად გავლის საშუალება მაინც ჰქონოდათ. მზრუნველი ხელი არ ეტყობა ცხუხკურისა და ფარცხანაყანევის საშუალო (დირექტორები თ. კობახიძე და კ. ნიქაბაძე), ფარცხანაყანევის 1-ლი რვაწლიანი (დირექტორი გ. აბულაძე) და სხვ. სკოლების ეზოებს და სასკოლო საცდელი მიწის ნაკვეთებს.

საექსპლოატაციოდ უვარგის, ავარიულ მდგომარეობაშია მალაკის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლის შენობა, მეჩვენის დაწყებით სკოლას თხელი, ფარღალალა ხის კედლები აქვს, ამასთან, თთახებიც პატარა და კლასის სამუშაოდ უვარგისია.

ქ. წყალტუბოს მესამე, ცხუხკურის, ოფშკვეითის, ოფურჩხეთის, გეგუთის საშუალო და მეჩვენის რვაწლიან სკოლებში ნოემბრის ბოლო რიცხვებშიც კი, როცა უკვე საკმაოდ ციოდა, არ იყო დაწყებული გათბობა. ეს გარემოება დიდად უშლის ხელს მათ ნორმალურ მუშაობას.

სკოლების დიდ ნაწილში მოუგვარებელია ცხელი საუზმით მოსწავლეთა კვება. რაიონის 62 სკოლიდან ბუფეტი აქვს მხოლოდ 28-ს.

წარმომადგენელი  
გენერალური

მიმდინარე სასწავლო წელს რაიონმა ვერ შეასრულა I-III კლასებში სწავლებაში ბავშვთა ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა: გეგმით გათვალისწინებული 3766 ბავშვის ნაცვლად სწავლებაშია ჩაბმული 3716 (98,7%). IV-VII კლასებში კი უკეთესი მდგომარეობაა. აქ უნდა ჩაბმულიყო 6250 ბავშვი, ფაქტიურად ჩაება 6365, მთლიანად კი, წყალტუბოს რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა კლასში სწავლებაში უნდა ჩაბმულიყო 11.829 ბავშვი და მოზარდი, ფაქტიურად სწავლობს 11.823 მოსწავლე, ე. ი. გეგმის საერთო რაოდენობის 99,9%.

მაგრამ, ამ ციფრობრივ მაჩვენებლებს იქით არის ჩრდილოვანი მხარეები ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის, სწავლებაში ჩაბმისა და კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში.

რაიონის სკოლების ერთი ნაწილი არ ასრულებს სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ მოქმედ, ინსტრუქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ სკოლის მოსწავლეთა სია და სოფლის საბჭოს საკომლო დავთრების მიხედვით შედგენილი სასკოლო ასაკის ბავშვთა სია არ ემთხვევა ერთმანეთს; ასე მაგალითად, ფარცხანაყანევის დაწყებითი სკოლის 6 მოსწავლე, ამავე სოფლის პირველი 8-წლიანი სკოლის 32, მეორე რვაწლიანი სკოლის 8 და საშუალო სკოლის მოსწავლე არ აღმოჩნდნენ გატარებული საკომლო წიგნებში. სულ რაიონის სკოლებში გასულ სასწავლო წელს სწავლობდა სხვა რაიონიდან გადმოსული 305 ბავშვი, რომლებიც სასოფლო საბჭოების საკომლო წიგნებში არ ყოფილან შეტანილი; არის პირიქითაც — 194 მოსწავლე ირიცხება წყალტუბოს რაიონის სხვადასხვა სოფლის მცხოვრებლად, მაგრამ ფაქტიურად ცხოვრობს და სწავლობს სხვა რაიონებისა და ქალაქების სკოლებში.

რაიონის სკოლებში დიდია მოსწავლეთა მოძრაობა. 1972 წლის 5 სექტემბრიდან 1973 წლის 5 სექტემბრამდე გავიდა:

ა) I-VII კლასებიდან — 244; მათ შორის სხვადასხვა სკოლაში გადავიდა — 130, სხვა რესპუბლიკებში — 78, საღამოს სკოლებში — 6, გაირიცხა — 6, განითესა — 1, გადავიდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას — 18, ბავშვთა კოლონიაში — 3, სხვადასხვა მიზეზით — 10;

ბ) IX-X კლასებიდან — 90; მათ შორის — გავიდა რესპუბლიკის გარეთ — 20, რესპუბლიკის სკოლებში — 11, საღამოს სკოლებში — 13, გაირიცხა — 2, გადავიდა პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას — 21, სწავდა სხვა მიზეზით გავიდა 23 მოსწავლე.

არადაქმაყოფილებელი მუშაობა ტარდება აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან: 1972 წლის ბოლოს რაიონში იყო 122 მეორეწლიანი, 1973 წელს კი — 153; კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ზოგიერთ სკოლაში; ასე მაგალითად, 1971/1972 სასწ. წელს ოფშკვითის საშუალო სკოლას (დირექტორი გ. ძოძუაშვილი) ჰყავდა 2 მეორეწლიანი მოსწავლე, 1972/1973 სასწ. წელს კი — 11; აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა კი არაიშვიათად არის სკოლიდან მოსწავლის ჩამოშორების ერთ-ერთი მიზეზი.

\* \* \*

წყალტუბოს რაიონის შესწავლილი სკოლების ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი ყოველდღიურად მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული დონის ასამაღლებლად, რის შედეგადაც სასურველ, თანამედროვეობის მოთხოვნათა შესაფერის შედეგებსაც აღწევს მუშაობაში. მაგრამ მათ გვერდით გვხვდებიან ისეთი მუშაკები, რომლებიც აშკარად ჩამორჩებიან ცხოვრებას, მათ არც საბჭოთა სკოლის წინაშე დასმული სადღეისო ამოცანების გაგება აქვთ და, ეტყობა, არც სურვილი (აქ აღარაფერს ვამბობთ უნარზე) — გაერკვენ ამ ამოცანების არსში და იბრძოლონ მათ შესასრულებლად.

ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლებისა და სკოლებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

### დაწყებითი კლასები

წყალტუბოს რაიონის შესწავლილ სკოლებში დამაკმაყოფილებლად მუშაობენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები ვ. სულაბერიძე, ლ. ადგიშვილი, ლ. ფხაკაძე (მუხიანის საშ. სკოლა),

ნ. სვანიძე (ცხუნიკურის საშუალო სკოლა), ვ. ბზიკაძე და ე. გური-  
შიძე (თერნალის დაწყებითი სკოლა), გრ. ბანძელაძე და ნ. ჩაკვეთელი  
ტაძე (მეჭვენის დაწყებითი სკოლა).

მაგრამ, ამასთან ერთად, დაწყებითი კლასების ქართული ენის  
ზოგიერთი მასწავლებელი არ არის დაუფლებული საგანსა და მისი  
სწავლების მეთოდებს, არ ეცნობა მოწინავე პედაგოგიურ გამოც-  
დილებას, არასაკმაო წარმოდგენა აქვს სასწავლო პროგრამებსა და  
სახელმძღვანელოებში მომხდარ ცვლილებებზე, იშვიათად ან საერ-  
თოდ სრულიად არ იყენებს თვალსაჩინოებას, მეტყველებაში უშ-  
ვებს მიუტყვებელ შეცდომებს, რის გამოც დაბალ პედაგოგიურ-მე-  
თოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილს.

თერნალის დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა ს. ჟორ-  
ჯოლიანმა (ახალი პროგრამებით მუშაობასთან დაკავშირებით მას  
არც დახელოვნების კურსები აქვს გავლილი) II კლასში გაკვეთი-  
ლი ჩაატარა დაბალხარისხოვნად. წინა მასალა — მოთხრობა „უნდა  
მოერიდოთ“ გამოიკითხა უსისტემოდ, არ გაუმახვილებია ყურად-  
ღება აღმზრდელით მომენტებზე, არ გაუკეთებია დასკვნა და არ  
მიუქცევია ყურადღება წინა და ახალ მასალას შორის („გახსოვით“)  
დამაკავშირებელი საკითხებისათვის. ახალი მასალის წაკითხვისას  
მასწავლებელმა, მართალია, გაამახვილა ყურადღება აღმზრდელი-  
თ საკითხზე — მოსწავლეებს მოუწოდა სანიმუშო ყოფაქცევისა-  
კენ, მაგრამ, იმის გამო, რომ გაკვეთილზე სათანადო ადგილი არ  
დაეთმო თვალსაჩინოებას, ცხოვრებისეული მაგალითებით მასალის  
გამდიდრებას, ამგვარმა მოწოდებამ მხოლოდ უბრალო, გამოუსა-  
დგარი ზნეობრივი შეგონების შთაბეჭდილება დასტოვა.

მასწავლებელი ს. ჟორჯოლიანი გრამატიკის საკითხების შეს-  
წავლისას ვერ იყენებს სახელმძღვანელოში მოცემულ ლიტერატუ-  
რულ მასალას და მისგან მოწყვეტით ასწავლის მათ. იგი მიტყვე-  
ლებაში უშვებს შეცდომებს და უსისტემოდ სვამს კითხვებს კლასის  
წინაშე. ეტყობა, არ იცნობს კითხვების დასმის შესახებ პედა-  
გოგიურ-მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს. მასწავლებელი მიმართავს კლასს:  
„ეჰეა, დამარცვლეთ სიტყვა. როგორ გადავიტანოთ ახლა ბაყაყზე?“  
რას ეწოდება არსებითი სახელი? რას ჰქვია მალვინა? სტკივა რა არის,  
თედოს ყილი სტკივა. რა იქნება სტკივა? თქვი, მამია, თედოს სტკი-  
ვოდა, მაშინ ანიკოს ზომ არ სტკივოდა, ორივეს რომ სტკივოდეს,  
როგორ იქნება? და სხვ. ამგვარი.

რა უნდა გაიგოს II კლასის მოსწავლემ ამ გაუგებრობიდან? ამგვარი მუშაობის შედეგიც არ აყოვნებს: კლასის მოსწავლეებს მომზადება აშკარად დაბალია.

ცხუნკურის საშუალო სკოლის II კლასის მასწავლებელი ნ. უგლავა როგორც წინა მასალის „არწივისა და ფუტკრის“ გამოკითხვის, ისე ახალი მასალის „ვეფხვი საქართველოში“ ახსნიას მხოლოდ შინაარსის გადმოცემით დაკმაყოფილდა.

II კლ მათემატიკის მასწავლებელმა ნ. მხეცაძემ წინა მასალის „სიგრძის ერთეულების“ გამოკითხვისას გამოიყენა თვალაჩინოება. მაგრამ მასწავლებელს უძნელდება ახალი პროგრამისა და სახელმძღვანელოს მიხედვით მუშაობა: იგი ორნიშნა რიცხვებზე ამოცანების შედგენისა და ამოხსნისას მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა, მოსწავლეები კი პასიურად ისხდნენ. მათ უძნელდებათ 4-5, 7-9 და სხვ ციფრების წერა უჯრიდებში.

არაიდეალური იყო მუშაობენ აგრეთვე მუხიანის საშუალო და მაღლაკის დაწყებითი სკოლების III კლასების მასწავლებლები ილ. კუჭუხიძე და მ. კანკაძე.

შესწავლილი სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებლები არადეალური იყო მუშაობენ მოსწავლეთათვის ლამაზი კალიგრაფიის გამოსამუშავებლად, ყურადღებას არ აქცევენ ასოთა მოხაზულობის სესწორეს, იშვიათად მიმართავენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებული შეცდომების გასწორებას და სათანადო ნიმუშების ჩვენებას.

დაწყებითი კლასების ნორმალურ მუშაობას ისიც დიდად უშლის ხელს რომ ცხუნკურის საშუალო (დირექტორი თ. კობახიძე), მექიენის, მაღლაკისა და თერნალის დაწყებითი სკოლებში (გამგეობი ნ. ჩავეტაძე, ვ. ნიქარაძე და ვ. ბზიკაძე) დაფები პატარა, დაუხაზავი და გამოსაყენებლად უვარგისია.

წყალტუბოა რაიონის სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობის შემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც არის შეპირობებული, რომ კვალიფიციური შინა-სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა არ ხორციელდება აღნიშნული კლასების მასწავლებელთა მუშაობაზე.

### მშობლიური ენა და ლიტერატურა

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი კე-

თილისინდისიერად ეკიდება მინდობილ საქმეს და ერთგვარ წარმატებებს აღწევს ამ საგნების სწავლებაში. ასეთებია ნ. ვაშაკიძე (დათ. ხიდურელი (წყალტუბოს მე-3 საშ. სკოლა), კ. ჯავახიძე (ნ. იამანიძე (მუხიანის საშ. სკოლა), დ. ქაჯაია (ოფურჩხეთის საშ. სკოლა), ლ. ფაჩუაშვილი და გ. კეთილაძე (ცხუნკურის საშ. სკოლა).

მაგრამ, ამასთან ერთად, წყალტუბოს რაიონის შესწავლილ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში არის არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი:

არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი სკოლებში ერთიანი ეხობრივი რეჟიმის განსამტკიცებლად, ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის სწავლება ხშირად ერთმანეთისაგან მოწყვეტილად წარმოებს, ნაკლები ყურადღება ექცევა გრამატიკის კურსში შესწავლილი საკითხების პრაქტიკულ გამოყენებას მოსწავლეთა წერითსა და ზეპირ მეტყველებაში, ყველა მასწავლებელი ვერ იყენებს ლიტერატურულ მასალას აღმზრდელილობითი სწავლების განსახორციელებლად, ამ საგნების სწავლებაში იშვიათად არის გამოყენებული თვალსაჩინოება.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ნ. ჩიხლაძე (წყალტუბოს მე-3 საშ. სკოლა), ლ. ბეშქენაძე (ოფშკვეთის საშ. სკოლა), დ. ბაბუნაშვილი (მუხიანის საშ. სკოლა), ნ. ქათამაძე (ოფურჩხეთის საშ. სკოლა), ნ. ბოდოკია და ნ. კილაძე (გეგუთის საშუალო სკოლა).

მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ნ. ჩიხლაძის გაკვეთილმა მერვე კლასში. გაკვეთილის თემა იყო „თინათინისაგან ავთანოიოსი გაგზავნა მის ყმის საძებრად“. მოსწავლეებმა არ იციან პროგრამით შესწავლილი მასალები, უშვებენ უხეშ ფაქტობრივ შეცდომებს; ასე მაგალითად, ერთ-ერთი მოსწავლე აცხადებს: „გეგუთისტყაოსანი“ პირველად გამოიცა 1792 წელს, დავით აღმაშენებლის დროს...“ მოსწავლეები მეტყველებაში უშვებენ უხეშ შეცდომებს. მათმა დიდმა ნაწილმა არ იცოდა გაკვეთილი.

მასწავლებელი პოემის შესანიშნავ მასალას ვერ იყენებს მოსწავლეებში გამირობის, პატრიოტიზმის, მეგობრობისა და სხვ. მაღალი საკაცობრიო გრძნობების აღსაზრდელად.

ნ. ჩიხლაძემ რაციონალურად ვერ გამოიყენა გაკვეთილის 45 წუთი: მან ვერ მოასწრო ვერც ახალი მასალის ახსნა და ვერც საშინაო დავალების მიცემა. ყველაფერი ეს სახელდახელოდ, გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მოხდა.

დრო მასწავლებელს არც VII<sup>2</sup> კლასში ეყო გრამატიკის გაკვეთილზე. მას არ გამოუყენებია თვალსაჩინოება, თუმცა ეს საჭირო იყო. ნ. ჩხილაძე თვითონ უშვებს შეცდომებს მეტყველებაში მასწავლებელთან საუბრობას იყენებს ბარბაროზებს; იგი მიმართავს მოსწავლეს: „მაღაღეც შენ, გია,“ და სხვ.

მასწავლებელი ვერ ფლობს ამ საგნების სწავლების მეთოდებსა და ხერხებს: არ იცის, როგორ იმუშაოს მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე. არ ატარებს ლექსიკურ მუშაობას, ვერ არჩევს საჭირო მხატვრულ ადგილებს, რის გამოც მოსწავლეებმა სრულიად არ იციან ლიტერატურის თეორიის საკითხები; არ იციან ეპითეტი, მეტაფორა და სხვ.

და რა უცნაურად ჩანს ამის შემდეგ პოზიცია სკოლის ხელმძღვანელობისა (დირექტორი რ. ტყაბლაძე და მისი მოადგილეები ლ. ჩხილაძე და ჯ. ფხაკაძე), რომელმაც ასეთ მასწავლებელს დააქისრა ფაქულტატიური მეცადინეობის ჩატარება მშობლიურ ლიტერატურაში. მასწავლებელს შემოუღია სათანდო ყურნალი, რომელშიც აღრიცხავენ „ჩატარებულ მუშაობას“, მაგრამ ეს სრულიად ფორმალური ხასიათისაა, რადგან მასწავლებელს საერთოდ არ ესმის ფაქულტატივის არსი. ნ. ჩხილაძეს წარმოდგენაც არა აქვს იმ ლიტერატურულ მასალაზე, რომელიც თითქოს აუხსნია მოსწავლეებისათვის.

საგნის ძალზე დაბალი მომზადება გამოამქლავნეს ოფშკვიტის საშ. სკოლის X<sup>1</sup> კლასის მოსწავლეებმა, რომელთაც სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილე ლ. ბეშენაძე ასწავლის.

გაკვეთილზე გამოკითხულ იქნა წინა მასალა „მიხ. ჯავახიშვილის ბიოგრაფია“, რომელიც 6 გამოქაზებული მოსწავლიდან სამმა სრულიად არ იცოდა, სამს კი ძალზე ბუნდოვანი წარმოდენა ჰქონდა მასზე.

მასწავლებელმა გაკვეთილი წარმართა ძალზე ღუნედ, უსიცოცხლოდ. მოსწავლეები იმდენად ცუდად მეტყველებდნენ, რომ შეუძლებელი ხდებოდა მათი ნათქვამის გაგება. და ეს გასაკვირიც არ არის, რადგან თვითონ მასწავლებელი უშვებს შეცდომებს მეტყველებისას; ასე მაგალითად, მან განაცხადა: „ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ მას (მიხ. ჯავახიშვილს) ლიტერატურული საქმოსნო. ზა არ გაუგრძელებია...“

გაკვეთილის პროცესში არ წარმოებს ტექსტზე მუშაობა, მწერლის ენაზე დაკვირვება, პერსონა ნაქთა დახასიათება და სხვ. მასწავლებელი შეეცადა, აეხსნა ახალი მასალა, მაგრამ, კლასის მთლიანად დადებლობის გამო, არ გამოუვიდა.

სამსინელ შთაბეჭდილებას ახდენს ამავე კლასის მოსწავლეთა საშინაო დავალებათა 12-ფურცლიანი, უჯრედიანი რვეულები, რომელთაც ყდაზე აწერია: „ბრინული ნათქმი და ანდაზები“, ზოგ რვეულს საერთოდ არაფერი აწერია. დავალებანი უსუფთაოდ, უკულტუროდ არიან შესრულებული. ამასთან, ამ დანიშნულების რვეულები 19 მოსწავლიდან აღმოაჩნდა მხოლოდ 11-ს.

ლ. ბეშქენაძემ, სკოლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, არ იცის, როგორ უნდა შედგეს გაკვეთილის გეგმა. ბუნებრივია, ეს უცოდინარობა ვლინდება სხვა მასწავლებლის გაკვეთილის შესახებ მის მიერ დაწერილ ანალიზებშიც.

ამასთან, აღსანიშნავია ერთი არასასიამოვნო ფაქტიც: ჩვენ გადავწყვიტეთ IX კლასში, სადაც მასწავლებელი ჯ. ბუაჩაძის ჩაგვეტარებინა საკონტროლო წერა. მასწავლებელს იება დაერთეთ თვითონვე შეერჩია თემები ჩვენი თანდასწრებით, მომზადდა საწერი ქაღალდიც, მაგრამ ეს წერა არ ჩატარდა, რადგანაც მოსწავლეები მეზუთე გაკვეთილიდან უკვე სახლში გაუშვეს.

საგნისა და მისი სწავლების უცოდინარობა გამოამჟღავნა მასწავლ. ბაბუნაშვილმა (მუხიანის საშ. სკოლა). მის მიერ VIII კლასში ჩატარებული გაკვეთილი კრიტიკას ვერ უძლებს. საკითხის შესწავლის დროისათვის მოსწავლეები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობდნენ. მათ ბევრი ლექსი თქვეს ზეპირად, მაგრამ ყოველგვარი გააზრების გარეშე. მათი მეტყველება საესე იყო ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა:

- „ესენი ყოფილარიენ სამი ძმები... ისინი მოუყვენ...“
- „როდესაც მე რო დავეწიო მას, ან ის მომკლავს, ან მეო...“
- „მათმა უამბეს“ და ა. შ.

მოსწავლეებზე უკეთესად არც მასწავლებელი მეტყველებდა. მის მიერ წარმოთქმული ფრაზები: „აბა, ავთანდილი, როგორც წინადახედული, საიდან გამომდინარეობს?“

„შემდეგ მოვალ და მე ვთხოვ მის ვინაობასო“...

„ჩვენ ვნახავთ კიდევ მეგობრობას, როგორ გაიზრდება, რომ სხვა ადამიანებიც ჩაერთვებიან და ყველაფერს გაგაკეთებთ შემდეგ“

სახელმწიფო  
ბიბლიოთეკა

„რუსთაველის ხალხთა მეგობრობა ეხლაც გაპყვირის...“ ხას/ა-  
ათდებიან ულოგიკობითა და ქართული სინტაქსის სრული უცოდინ-  
ნარობით.

მასწ. დ. ბაბუნაშვილს, ეტყობა, მიაჩნია, რომ ტექსტის ახსნა  
ნიშნავს მხოლოდ მის წაკითხვას (თანაც ძალზე ცუდად) და მისი ში-  
ნაარსის გადაცემას. ახსნის პროცესში მასწავლებელს არც პოემის  
მხატვრულ ადგილებზე გაუმახვილებია ყურადღება, არც ლექსი-  
კტრი მუშაობა ჩაუტარებია.

იგივე მასწავლებელმა შედარებით დამაკმაყოფილებლად ჩაა-  
ტარა ქართული ენის გაკვეთილი IV<sup>1</sup> კლასში, სადაც გადასცა „სრუ-  
ლი და უსრული წინადადება“. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ  
სათანადო ყურადღება არ მიუქცევია საშინაო დავალებათა შესრუ-  
ლებიზ მდგომარეობის გარკვევისათვის.

მასწ. ნ. ქათამაძე (ოფურჩხეთის საშ. სკოლა) კარგად ფლობს  
საგანს, მეტყველებს შესანიშნავად, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწავ-  
ლეებს ვერ აძლევს სათანადო ცოდნას. მან იცის, რა აწავლოს, მაგ-  
რამ აღარ იცის, როგორ ასწავლოს. იგი უგულებელყოფს მხატვრუ-  
ლი ნაწარმოების ტექსტზე მუშაობის (IX<sup>2</sup> კლასში, დ. ჭონქაძის „სუ-  
რამის ციხის“ გადაცემისას, ძნელი დასადგენი იყო, რას ისახავდა  
მიზნად — ნაწარმოების შინაარსის გადაცემას თუ მის იდეურ-მხატ-  
ვრულ ანალიზს).

აღნიშნული კლასის მოსწავლეებმა ნაწარმოების შინაარსი იცი-  
ან, მაგრამ მეტყველებენ ძალზე ცუდად.

VIII<sup>2</sup> კლასში იგივე მასწავლებელმა ახალი მასალა — „სასვე-  
ნი ნიშნები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში“ ახსნა ლექციური მე-  
თოდით.

ოფურჩხეთის საშუალო სკოლის X<sup>1</sup> და X<sup>2</sup> კლასებში (მასწ.  
ნ. ქათამაძე) ჩატარდა საკონტროლო წერა, რადგანაც მასწავლებელ-  
მა ვერ მოასწრო ნამუშევრების იმავე დღეს გასწორება, ნება დავრ-  
თეთ ნაწერები და მათი შეფასებები მეორე დღეს წარმოედგინა.  
მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა (ამის შესახებ განათლე-  
ბის განყოფილების მუშაკებსაც ვუთხარი), მან ნაწერები არ წარ-  
მოადგინა. საკონტროლო წერის პროცესში დაკვირვების დროს კი  
შევნიშნეთ, რომ ბევრმა მოსწავლემ სრულებით ვერ დაწერა ვერა-  
ფერი.

რაც შეეხება საშინაო დავალების რვეულებს, მასწავლებელი მათ არ ამოწმებს, რის გამოც ისინი გაუფორმებელია და სავსეა შეცდომებით.

მასწავლებელ ნ. ბოდოკიას, გეგუთის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, გაკვეთილზე არ დავსწრებივართ, ჩავატარეთ საკონტროლო წერა (თემები თვით მან შეარჩია).

საკონტროლო წერის შედეგად IX კლასის 17 მოსწავლიდან 15-მა „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასება დაიმსახურა, დანარჩენ ორ ნაწერს კი უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, თუმცა „3“ თითქოს აქაც ზედმეტად გვეჩვენება.

საგნის სუსტი ცოდნა გამოამყვანეს გეგუთის საშუალო სკოლის X<sup>1</sup> და X<sup>2</sup> კლასების მოსწავლეებმა (მასწ. მ. კილაძე). ამ სკოლის მოსწავლეები მეტყველებენ ცუდად, მონოტონურად; წარმოთქვამენ ლოგიკურად გაუმართავ წინადადებებს, რაც, პირველ ყოვლისა, მასწავლებლის მუშაობის ნაკლია. სანიმუშოდ მოვიტანთ აქ ადგილებს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის საუბრიდან:

მოსწავლე: ეს იმაზე მიუთითებს, რომ სვანეთში სისხლის აღების წესი იყო.

მასწავლებელი: რომელ წლებში? (დუმილი).

მასწავლებელი: რა მიაქვს გელახსანს თეთნულდზე?

მოსწავლე: კვამლისფერი აჩქები და ა. შ.

მასწავლებელი შ. დადიანის „თეთნულდს“ ისე ასწავლის, რომ მას აღმზრდელობით მომენტებს არ უკავშირებს... და ეს მაშინ, როდესაც სკოლაში ეს ნაწარმოები ძირითადად სწორედ ამ მიზნით ისწავლება.

შესწავლილი სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს გაკვეთილის გეგმების შედგენის უცოდინარობა. მათ მიერ შედგენილი გაკვეთილის გეგმები ფაქტიურად ახალი მასალის მოკლე შინაარსის გადმოცემაა. მასში ვერ გავარჩევთ გაკვეთილის ძირითად მომენტებს.

ეს გარემოება იმითაც აიხსნება, რომ არადამაკმაყოფილებელია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ საგნების სწავლებაზე და, გარდა ამისა, თითქმის მივიწყებულია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის.



წყალტუბოს რაიონის შესწავლილ სკოლებში დაბალია წავლეთა მომზადება რუსულ ენასა და ლიტერატურაში. გაკვეთილების მოსმენითა და მოსწავლეებთან ინდივიდუალური გასაუბრებით გამოირკვა, რომ მათ არა აქვთ ამ ენაზე მეტყველების პრაქტიკული ცოდნა-ჩვევები, რუსულად ვერ გამოხატავენ უბრალო, მარტივ აზრს, კითხვებზე პასუხის გაცემისას უჭირთ ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმება რიცხვში და ზმნების გამოყენება წინადადებაში.

ცხენკურის საშუალო სკოლის VIII კლასის რუსული ენის მასწავლებელმა ვ. ჩირგაძემ ახალი მასალის „обращение“ („მიმართვა“) ახსნისას დაუშვა მეცნიერული ხასიათის შეცდომა, მან განაცხადა: „обращение похоже на подлежащего“.

გაკვეთილზე თითქმის გამოუყენებელი დარჩა სახელმძღვანელო. ამიტომაც იყო, რომ „მიმართვის“ რაობა მოსწავლეებს არასწორად მიეცათ; იგი სახელმძღვანელოში ასეა განმარტებული: „обращение это одно слово или несколько слов, которые в предложении называют того, кому обращена речь“. მასწავლებელი კა. ა. მწესს ასე ასწავლის: „Обращение такое слово, которое обозначает того, к которому обращаются с речью“. მასწავლებელმა მოსწავლეებს არ განუმარტა, რომ ზოგჯერ მიმართვას წინ უძღვის „о“ ბგერა. გარდა ამისა, მან მასალა დაულაგებლად გადასცა, რის გამოც მოსწავლეებმა ვერ გაიგეს „მიმართვის“ რაობა და, ამრიგად, გაკვეთილის მიზანიც მიუღწეველი დარჩა. საილუსტრაციო მაგალითები მასწავლებელმა დაფაზე შეცდომით დაწერა: Товарищи, Мы с Вами живем в великую эпоху“. ვ. ჩირგაძე ანგარიშს არ უწევს კლასის მომზადების დონეს და ისეთ დავალებებს აძლევს მოსწავლეებს, რომელთა შესრულება არ შეუძლიათ. მან მათ დაავალა, მოეფიქრებინათ მსგავსი მაგალითები, მაგრამ პასუხი ვერც ერთი მოსწავლისაგან ვერ მიიღო: მაშინ მასწავლებელმა თვიფონვე, წინასწარი შერჩევის გარეშე, დაასახელა სათახადო მაგალითები, რომლებიც შესწავლილ მასალას არ უკავშირდებოდა.

თვით მასწავლებელი არასწორად სვამს მახვილებს სიტყვებზე: ასე მაგალითად, знаниями, учащийся და სხვ.

მოსწავლეები ქართულად, თანაც შემოკლებული სიტყვით („მას.“ ან „მასწ.“ მიმართავენ მასწავლებელს რუსული ენის გაკვეთილში თილზე).

ვ. ჩირგაძემ მეთოდური თვალსაზრისით არასწორად მისცა საშინაო დავალებაც: გადაშალა სახელმძღვანელო, დაავალა კლასს — „შეისწავლეთ ეს პარაგრაფი და შეასრულეთ ეს სავარჯიშო“, ისე, რომ არავითარი განმარტება არ მიუცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს აუცილებელი იყო.

მასწავლებელი ყოველთვის არ ასწორებს საშინაო დავალებათა რვეულებს. მათ გარეკანზე წარწერები ან საერთოდ არ არის, ან შეცდომით არის გაკეთებული. ასევე ცუდად არის გაფორმებული თვით საკონტროლო ნამუშევართა რვეულებიც. არადამაკმაყოფილებლად სრულდება მითითებანი ამ საგნებში წერითი მუშაობის შესახებ. ამიტომაც არის, რომ VIII კლასის მოსწავლე უშეკდომოდ წიგნებიდანაც კი ვერ იწერს. მოსწავლეები წერენ სხვადასხვა კალმითა და მელნით. სალექსიკონო მუშაობის რვეულები არა აქვს ყველა მოსწავლეს, ამასთან, იმის გამო, რომ ჩანაწერები ამ რვეულებში მასწავლებლის მიერ არ სრულდება, შეცდომებია დაშვებული სიტყვების მართლწერაში.

„ფშკვიტის სკოლის IV კლასის მასწავლებელმა დ. მიაიანაძემ ახალი მასალის — „прошедшее время“ ახსნა დაიწყო მაშინ, როცა გაკვეთილის დამთავრებას მხოლოდ ერთი წუთი აკლდა რაღაც თქმა უნდა. მისი ახსნა ვერ მოესწრო. მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მასწავლებლისათვის მიეცა დავალება მოსწავლეებისათვის — შეესწავლათ ეს მასალა. იგი გაკვეთილზე უცნაურად მეტყველებს: დავალების მიცემისას მან კლასს მიმართა: „ახლა „Упражнение“ შეიქმნება მოგვეთ 116“ ან კიდევ „შეცდომა გააპრა-ვერკით მაჩანი“ და ა. შ.

მასწავლებელი ვერ ფლობს საგნის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, გონივრულად ვერ ანაწილებს დროს სასწავლო მასალაზე. პატარა მოთხრობა „сторож“ მას დაყო ორ ნაწილად და შეჩერდა იმ ადგილას, სადაც ორწერტილია დასმული.

მასწავლებელი დ. მეჯვანაძე მოსწავლეთა საშინაო და საკლასო წერით ნამუშევრებს საერთოდ არ ასწორებს, საკონტროლო ნამუშევრებს ასწორებს, მაგრამ მათში დაშვებულ შეცდომათა ერთ ნაწილს ვერ ამჩნევს, რასაც ამჩნევს, არ მუშაობს მათზე მან დღემდე არ იცის, რომ საჭიროა დაშვებულ შეცდომებზე მუშაობა.



არადამაკმაყოფილებლად ასწავლის აგრეთვე საგანს იმავე სკოლის VI კლასის მასწავლებელი მაჩალაძე. შემოწმების დროსავე წინა გაკვეთილის მასალა იყო „существительное второго склонения“.

გაკვეთილი დაიწყო ფრონტალური გამოკითხვით, პასუხს მხოლოდ ორი მოსწავლე იძლეოდა, დანარჩენები კი პასიურად ისხდნენ. შემდეგ გამოცხადებულ იქნა ორი მოსწავლე, რომელთაც აბრუხებინა სახელები, კლასის სხვა მოსწავლეები კი უყურადღებოდ იყვნენ დარჩენილი. შემდეგ მასწავლებელმა ჩაატარა საუბარი მოსწავლეებთან იმე, რომ თემა წინასწარ არ იყო შერჩეული და გადავიდა მოთხრობა „праздник Октября“-ს მეორე ნაწილზე. მაგრამ მოცულობით ეს მასალა იმდენად მცირეა, რომ მისი გაყოფა, მით უმეტეს, ასე — ორწერტილთან, არ შეიძლება. მასწავლებელმა გადასცა მოთხრობის მეორე ნაწილის შინაარსი, რაც, საერთოდ, არ არის რეკომენდებული ახსნითი კითხვის დროს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ გრ. მაჩალაძემ მოუთხრო მოსწავლეებს სოფლის სკოლის პიონერთა ცხოვრებიდან, მაგრამ, იმის გამო, რომ მათ ამბის შინაარსი არ ესმოდათ, მასწავლებლის ნაამბობს არ ისმენდნენ და დისციპლინა ირღვეოდა.

ახალი მასალიდან მასწავლებელმა დაფაზე დაუწერა მოსწავლეებს ოთხი სიტყვა, რომლებიც მეთოდურად სწორად არ იყო შერჩეული. იგი არასწორად იქცეოდა მაშინაც, როდესაც ხელთ ეპყრა სახელმძღვანელო, კითხულობდა ცალკეულ წინადადებებს და ბავშვებს ეკითხებოდა, გასაგებია თუ არა აქ ყველა სიტყვაო. მასწავლებელმა ისე დააწყებინა მოსწავლეებს ტექსტის კითხვა, რომ თვითონ წინასწარ სანიმუშოდ არ წაუკითხავს მათთვის. ამიტომაც გაააგებია, რომ ისინი ვერ ფლობენ გამომეტყველებითი კითხვის ტექნიკის ელემენტარულ წესებს, კითხულობენ დამარცვლით, არ იცავენ მახვილებს, რომელთაც მასწავლებელი უყურადღებოდ სტოვებდა და სხვ.

მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებას, საშინაო და საკონტროლო სამუშაო რვეულების გაფორმებას (ზოგი რვეულის გარეკანზე სულ არაფერი აწერია, ზოგი კი შევსებულია ზოგორც ქართულად, ისე რუსულად) არაკვალიფიციურად სწორდება მასწავლებელთა საკონტროლო ნამუშევრები, არ ტარდება მუშაობა შემჩნეულ ტიპობრივ შეც-



მუხიანის საშ. სკოლის X კლასის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სვეტლანა სარგიჯიანი არადამაკმაყოფილებლად ფლობს ამ საგნების სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. X კლასში. ლიტერატურის გაკვეთილზე ლექსიკური მუშაობისას, მან გამოიყენა თარგმნითი მეთოდი, გაკვეთილი კი ახსნა ლექციური მეთოდით. ამიტომ იყო, რომ მოსწავლეებმა ვერ გაიგეს მასალა და მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე ვერ უპასუხეს. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ასეთი მძიმე მდგომარეობა აღმოჩნდა წინა მასალის გამოკითხვის დროსაც. კლასის 17 მოსწავლიდან იგი იცოდა მხოლოდ სამმა.

ამ კლასის მოსწავლეებმა არ იციან სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურის თეორიის საკითხები — ეპოსი, ლირიკა და სხვ. მიუხედავად ამისა, მასწავლებელმა ამ ტერმინებზე არ გაამახვილა ყურადღება ახალი მასალის ახსნისას.

გაკვეთილზე საჭირო ყურადღება არ მიექცა თვალსაჩინოების გამოყენებას.

სრულიად არასაკმაო მუშაობა ტარდება მოსწავლეებში ზეპირი შეტყვევების ჩვევების გამოსამუშავებლად, რის გამოც ისინი ძალიან უხეშ შეცდომებს უშვებენ საუბრის დროს: „Маяковский изучил он биографий Маяковский написала поэму“...

როგორც საკონტროლო წერითი ნამუშევრების გადათვალისწინებით და მასწავლებელთან გასაუბრებით გამოირკვა, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე იმავე სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. ჟღენტიც. VIII კლასის ბევრმა მოსწავლემ დაფიდან სათაურის უშეცდომოდ გადაწერაც კი ვერ მოახერხა. ერთ-ერთმა მოსწავლემ დაწერა Дожнигоды и годы иченисла Лермонтова (უნდა დაეწერა „Детские годы и годы учения М. Ю. Лермонтова“).

მიუხედავად იმისა, რომ დასაწერად მიცემული იყო იმ დღისათვის გათვალისწინებული გაკვეთილის მასალის შინაარსის გადმოცემა, ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ შეასრულა ეს სამუშაო დამაკმაყოფილებლად: 21 მოსწავლიდან შეფასება „1“ მიიღო 17-მა, „2“ კი 4-მა მოსწავლემ.

ამგვარი მდგომარეობის მიუხედავად, I მეოთხედის ბოლოს რუსულ ენაში (წერა) ამ კლასის 5 მოსწავლე შეფასებულია უმაღლ-

ლესი ნიშნით — „5“, ორი კი — „4“-ზე, 13 — „3“-ზე და მხოლოდ ერთი — „2“-ზე.

არაღმამკამყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე შესწავლილი სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის სხვა მასწავლებლებიც: ბ. თოფურიე (ძუხიანის სკოლა), შ. შეყილაძე, გ. ქათამაძე, გ. ასათიანი, გ. ლალიე (გეგუთის საშ. სკოლა), ვ. ქელეხნიაკოვა (წყალტუბოს მესამე საშ. სკოლა).

## უცხოური ენები

ღამაკამყოფილებლად ასწავლის ინგლისურ ენას წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი ი. ცინცა ე.

ინგლისური ენის კარგად აღჭურვილი კაბინეტი აქვს მუსიანის საშუალო სკოლას: მას მოეპოვება თითქმის ყველა საჭირო თვალსაზრისით მასალა: მაგნიტოფონი, კინოფირები, რომელთა დემონსტრირება ხდება ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტში.

არაღმამკამყოფილებლად მუშაობს ცხუნკურის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ვ. სვანიძე. დამთავრებული აქვს ქუთაისის პედინსტიტუტის უცხო ენათა 2-წლიანი კურსები. მას აქვს 25 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი თვითონ მასწავლებელმა არ იცის ენა, ვერ ფლობს კითხვის წესებს, გერმანული სიტყვების წარმოთქმისას სრულიად არ იყენებს მანგილიონსა და „უმლაუთებს“, ამიტომ, ბუნებრივია, მოსწავლეებსაც არა აქვთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევები: ვერ ერკვევიან გერმანული ენის გრამატიკის უმარტივეს წესებში, ვერ იძლევიან პასუხს ასეთ მარტივ კითხვებზე: რა გქვია შენ? რამდენი წლისა ხარ და სხვ. ვ. სვანიძე არ ემზადება გაკვეთილისათვის იგი მხოლოდ ტექსტის კითხვითა და თარგმნით იფარგლება, სხვა მითოდს არ მიმართავს. არ ასწორებს მოსწავლეთა საშინაო დავალებათა ნაშუქებს. არ ასრულებს მეთოდურ მითითებებს უცხოურ ენაში წერითი მუშაობის რაოდენობის, სახეებისა და ნორმების შესახებ: VI-დან X კლასამდე (ჩათვლით) მას მხოლოდ 2-2 საკონტროლო წერა აქვს ჩატარებული. ამასთან, ჩატარებულია მხოლოდ ერთადერთი სახის წერა — წიგნიდან გადაწერა

ასევე ცუდად მუშაობს გეგუთის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი თ. ლიკლიკაძე. 30 წელზე მეტია ასწავლის ზგი ამ ენას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითონ მაინც სუსტად

ფლობს მას. თვით მან არ იცის ტექსტის წაკითხვის ელემენტარული წესები. გაკვეთილზე მასწავლებელი მხოლოდ კითხვითა და ტესტით გმნით იფარგლება. ყოველივე ამის გამო, სრულიად არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადება; არა აქვთ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კითხვისა და წერის ცოდნა-ჩვევები, ლარია მათი ლექსიკური მარაგი.

სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ თავიანთ მუშაობაში ქ. წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლის უცხოური ენების მასწავლებლებს ქ. მალაფერი ეს, ნ. ხაზარაძეს, აბ. ქაროსანიძეს და გეგუთის საშ. სკოლის გერმანული ენის მასწავლებელს მ. ტოგონიძეს. ისინი არასაკმაოდ ემზადებიან გაკვეთილისათვის, არ იცნობენ განათლების სამინისტროს მითითებებს უცხოურ ენებში წერითი მუშაობის შესახებ, გულმოდგინედ არ ასწორებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს, რის გამო შეუძენველი რჩებათ შეცდომები.

### მათემატიკა

წყალტუბოს რაიონის შესწავლილ სკოლებში დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები ჯ. ფხაკაძე (წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლა), ჯანელიძე, ხაჭაპურიძე (ცხუნკურის საშ. სკ.), ლ. ნიქარაძე (ოფშკვითის საშ. სკოლა), ნ. ხმელიძე (გეგუთის საშ. სკოლა), მ. გეგიაძე, ფუთურიძე (მუხიანის საშ. სკოლა).

მაგრამ, ამასთან ერთად, მათემატიკის სწავლება დაბალ დონეზეა დაყენებული შესწავლილი სკოლების მთელ რიგ კლასებში:

ოფურჩხეთის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ე. ამყოლაძე) მოსწავლეებმა გამოამყდავენეს პროგრამული მასალის სრული უცოდინარობა. კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა გამარტივებაზე, იგივეობათა დამტკიცებასა და ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნაზე. შედეგი მეტად დამაფიქრებელი აღმოჩნდა: არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 15-მა მოსწავლემ. დამაკმაყოფილებელი კი მხოლოდ 3-მა.

ანალოგიური მდგომარეობა აღმოჩნდა X კლასშიც (მასწავლებელი თ. ჯიშკარიანი). საკონტროლო წერა „2“-ზე შეასრულა 13-მა მოსწავლემ, „3“-ზე კი — ექვსმა.

საკონტროლო წერისას არაღამაკმაყოფილებელი შედეგები გამოვლინდა აგრეთვე IX კლასში (მასწავლებელი გრ. მალაფაძე). მოსწავლეებს ამ კლასში ამოსახსნელად მიეცათ ერთი მაგალითი ვიეტას თეორემის გამოყენებით, მეორე მაგალითი უტოლობათა დამტკიცებაზე და მესამე — პარამეტრის შემცველი კვადრატული განტოლების გამოკვლევაზე. შეფასება „2“ მიიღო 14-მა მოსწავლემ, „3“-3-მა და „4“ კი — 2-მა მოსწავლემ.

ამ სკოლის დირექტორი გ. ქარჩხაძე მათემატიკას ასწავლის V და IX კლასებში, მაგრამ მისი მუშაობა, საკითხის შემოწმების დღისათვის გაკვეთილის უქონლობის გამო, ვერ შემოწმდა.

როგორც გამოირკვა, ოფურჩხეთის საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლება დაბალ დონეზეა დაყენებული, თუმცა თვითონ დირექტორი სპეციალობით მათემატიკოსია.

სასწავლო პროგრამით შესწავლილი მასალის დაბალი ცოდნა გამოავლინა გეგუთის საშუალო სკოლის (დირექტორი ბ. ნიქარაძე) V კლასმა (მასწავლებელი ნ. ტყეშელაშვილი), სადაც საკონტროლო წერა ჩატარდა გამოსახულებათა გამარტივებასა და გამოსახულების რიცხვითი მნიშვნელობის პოვნაზე. ნამუშევრების გასწორებით აღმოჩნდა, რომ 24 მოსწავლიდან შეფასება „2“ დაიმსახურა 19-მა და „3“ მხოლოდ 4-მა. მოსწავლეები ვერ ერკვევიან სიმრავლეთა თეორიის საკითხებში.

მუხიანის საშუალო სკოლაში მათემატიკა, საერთოდ, ცუდად როდი ისწავლება, მაგრამ ამ საგნის სწავლების დაბალი დონე გამოვლინდა X კლასში. მათემატიკას აქ და IV კლასში შეთავსებით ასწავლის ფიზიკოსი თ. ტორაძე, რომელსაც დახელოვნების კურსები მხოლოდ ფიზიკის სპეციალობით აქვს გავლილი. X კლასში საკონტროლო წერისათვის მიეცათ მაგალითები ტრიგონომეტრიული ჯამის ნამრავლად გარდაქმნასა და ტრიგონომეტრიულ განტოლებაზე. შეფასება „2“ მიიღო 17-მა მოსწავლემ, „3“ კი — მხოლოდ 2-მა.

ზოგ შემთხვევაში, მათემატიკის გაკვეთილზე ადგილი აქვს მეცნიერული ხასიათის შეცდომათა დაშვებას, რომელიც შეუუმჩნევლად და გაუსწორებლად რჩება მასწავლებელს; ასე მაგალითად, ოფშკვითის საშუალო სკოლის (დირექტორი ძოძუაშვილი) VI კლასში (მასწავლებელი ი. ბანძელაძე) „ფორმულით ფუნქციის მოცემაზე“ ვარჯიშის დროს დაშვებული იყო შეცდომები სიმრავლეთა თეორიიდან; ამავე სკოლის VIII კლასში (მასწავლებელი ლ. აშვეთია)

გაკვეთილზე დაშვებულ იქნა შეცდომა ფესვის არითმეტიკული მნიშვნელობის გამოანგარიშებაში.



აუცილებელია გადაჭრით გაუმჯობესდეს დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი ამ საგნის სწავლებაზე.

### ფ ი ზ ი კ ა

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ფიზიკას მასწავლებლები შ. ტყაბლაძე, ვ. თუთბერიძე (წყალტუბოს მე-3 საშ. სკოლა), ლ. შენგელია (გეგუთის საშ. სკოლა) და რ. ბაბუნაშვილი (მუხიანის საშ. სკოლა).

ქ. წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი გარეგნულად ცუდ შთაბეჭდილებას არ სტოვებს, მაგრამ მისი მუშაობის შესწავლამ გამოავლინა გარკვეული ნაკლოვანებანი: იარაოები ინახება კარადებში, მაგრამ ერთმანეთშია არეული სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებელი მოწყობილობა; ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად კაბინეტს არა აქვს საკმარისი ხელსაწყო-იარაოები, რის გამოც ექსპერიმენტული მუშაობა ფიზიკაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა ცქონიურის საშ. სკოლაში ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს ფიზიკის კაბინეტი (ამგველუბა სეხიძე). კაბინეტს დათმობილ აქვს ერთი ოთახი: მასში დგას გრძელი მაგიდები. ასევე გრძელი სკამებით, რომლებზედაც ზის 5-6 მოსწავლე. კაბინეტს არა აქვს საკმაო ხეოსაწყო-იარაოები ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად, ამიტომ მასწავლებელი კმაყოფილდება მარტო დემონსტრაციების ჩიონებით, მაგრამ ყოველთვის ამასაც ვერ ახერხებს. არსებული ხელსაწყოები მოთავსებულია ძველ კარადებში მასწავლებლს უკვდია. დაილაგებინა ისინი განყოფილებათა მიხედვით, მაგრამ, ჩანს, ვერ მოახერხა და ყველაფერი ერთმანეთშია არეული.

ხელსაწყო-იარაოებით კაბინეტის შევსება წარმოებს არაორგანიზებულად, წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე. კაბინეტს არა აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფიზიკის კაბინეტის ტიპური სასწავლო მოწყობილობათა სიები ამითაც უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ კაბინეტში არის ხელსაწყოები, რომელთაც არავითარი გამოყენება არა აქვთ.

მასწავლებელი ლ. სვანიძე ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენს ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისადმი: მასწავლებელმა მოსწავლეთა მიერ გაფორმებული „ჩატარებული“ ლაბორატორიული სამუშაოების სქემები, თუმცა სკოლაში ეს სამუშაოები შესრულებული არ არის. საქმისადმი მასწავლებლის ამგვარი დამოკიდებულება არც აღმზრდელითი თვალსაზრისით არის გამართლებული, რადგან იგი მოსწავლეს აჩვენებს არაგულწრფელობას.

VIII კლასში მასწავლებელმა ლ. სვანიძემ გამოიკითხა წინა მასალა „მყარი სხეულის ბრუნვა“. მასწავლებელი ზედმეტად ერეოდა მოსწავლის თხრობაში. მოსწავლეთა უმრავლესობამ პასუხი ვერ გასცა მის მიერ დასმულ კითხვებზე.

კითხვის ნაცვლად მასწავლებელმა დავალება მისცა მოსწავლეს: „დამიწერე ვარდნის ფორმულები“, მოსწავლემ ეს დავალება ვერ შეასრულა. მაშინ მასწავლებელმა მიმართა კლასს: „ვარდნის ფორმულა, აბა?“

ახალი მასალის „კუთხური სიჩქარის“ გამოყენებით მასწავლებელმა კლასს ამოახსნევინა ამოცანა, მაგრამ მოსწავლეები ასიუზრად ისხდნენ, აქტიურობდა მხოლოდ მასწავლებელი.

IX კლასში ჩატარდა საკონტროლო წერა, სადაც თემები შერჩეულ იქნა თვით მასწავლებლის მიერ. შედეგები ასეთია ერთმა მოსწავლემ მიიღო „4“ შეიღმა „3“ და თორმეტმა — „2“

დაბალი მომზადება გამოავლინეს ფიზიკაში ოფორჩხეთის საშ. სკოლის IX და X კლასების (მასწავლებლები მიხეილ ოწენიძე და ლევან ამყოლა ე) მოსწავლეებმა

სამართლიანობა მოითხოვს აინიშნოს, რომ თვით მასწავლებელი მ. ღოწენიძე თითქოს დამაკმაყოფილებლად მოუშობს, იმადლობ საკუთარ მეცნიერულ, პედაგოგიურ-მეთოდურ დონეს, ემზადება გაკვეთილისათვის, თავიდან აიცილებს ვადაცავე სასურველ შედეგს ვერ აღწევს. IX კლასში საკონტროლო წერისათვის მას თვითონვე შევარჩევინეთ თემები, მაგრამ 17-მა მოსწავლემ მიიღო „2“, „3“ კი მხოლოდ 9-მ.

X კლასში მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცოდა წინა მასალა „ჰერცის ცდები“. ელექტრომაგნიტური ტალღების სიჩქარე და ურთიერთმოქმედება ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით“.

მ. ღოწენიძემ კარგად ახსნა ახალი მასალა „პოპოვის მიერ რადიოს გამოგონება და თანამედროვე რადიოკავშირის პრინციპი“.

მაგრამ მოსწავლეებს მაინც უჭირდათ ამ მასალის შესახებ მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხი.

როგორც ჩანს, აღნიშნულ კლასებში იმდენად დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, რომ ისინი კარგად ახსნილ მასალასაც კი ძნელად ითვისებენ. ამიტომ მასწავლებელმა, მის მუშაობას რომ სასურველი შედეგი ჰქონდეს, უნდა მიიღოს ყველა ზომა ფიზიკაში (და არა მარტო ფიზიკაში!) მოსწავლეთა მომზადების დონის ასამაღლებლად.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს იმავე სკოლის მასწავლებელი ლევან ამყოლაძე. X კლასში მან გამოიკითხა წინა მასალა „დემოდულაცია“ და „უმარტივესი რადიომიმღები“, მაგრამ იგი მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცოდა. გაძახებული მოსწავლე უშვებდა შეცდომებს, რომელთაც მასწავლებელი არ ასწორებდა.

დეტექტორული რადიომიმღების სქემა მოსწავლემ ვერ დახაზა, ამიტომ მასწავლებელმა გამოიყენა წინასწარ დახაზული რადიომიმღების სქემა, რომელიც ისეთ ადგილზე მოათავსეს, რომ მას მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ხედავდა. სქემაზე მოსწავლეებმა ვერ აჩვენეს კონდენსატორი, დეტექტორი, რხევითი კონტური.

მსჯელობისას თვით მასწავლებელი უშვებდა უხეშ შეცდომებს: „ბადე დაიწყებს რხევას“, „უმარტივესი ტიპის რადიომიმღები შეერთებულია დენის წყაროსთან“ და შეცდომით უჩვენა სქემაზე.

ახალი მასალის „ცდები ელექტრომაგნიტურ ტალღებზე, რადიოტალღების გავრცელება“ ახსნისას არ გამოუყენებია ზემოაღნიშნული სიხშირის გენერატორი, რადგანაც სკოლის ფიზიკის კაბინეტს იგი არა აქვს. ახალი მასალა ახსნა ცუდად, მასწავლებელმა დაუშვა შეცდომები: „რუბორში გავიგონებთ ბგერებს“, „დიელექტრიკი არავითარ გავლენას არ ახდენს რუბორზე“.

ასე „ახსნილი“ მასალა, რაღა თქმა უნდა, გაუგებარი დარჩა მოსწავლეთათვის.

ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს მოსწავლეთა საშინაო დავალებათა რვეულები. მასწავლებელი არ ამოწმებს მათ. საკონტროლო წერის რვეულები კი საერთოდ არა აქვთ მოსწავლეებს.

ღარიბია გეგუთის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტი. მას საკმაოდ არა აქვს ტექნიკური საშუალებები და აუცილებელი ინვენტარი, რის გამოც მასში ნაკლებად, შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები. კაბინეტის ხელსაწყო-

იარაღების ნაწილი, კარადების უქონლობის გამო, იატაკზეა დალაგებული.

არადაამაკმაყოფილებლად ასწავლის ფიზიკას მუხიანის სასწავლებელში სკოლაში მასწავლებელი თამარ ტორაძე. მას დამთავრებული აქვს ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი მათემატიკის სპეციალობით. ფიზიკაში აქვს 7 საათი, მათემატიკაში — 12.

შემოწმების დღეს მასწავლებელს VIII კლასში გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა წერა. კლასს საწვრად, მცირე შესწორების შემდეგ, მიეცა თვით მასწავლებლის მიერ შერჩეული თემები. მოსწავლეებმა ვერ შეასრულეს მიცემული თემა და ყველამ „2“ დაიმსახურა, მაგრამ მასწავლებელი ვერ მიხვდა მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს და 9 მოსწავლის ნამუშევარი შეაფასა „3“-ზე, ერთი კი „4“-ზე მასწავლებელმა თ. ტორაძემ თვითონ ვერ მონახა მოსწავლეთათვის მის მიერ მოცემული საკითხების ამოხსნის სწორი გზა, ხერხი.

VII<sup>1</sup> და VIII<sup>2</sup> კლასებში ფიზიკაში ჩატარებულია მხოლოდ თითო საკონტროლო წერა. მიცემულია თითო ამოცანა. შესრულებული ნამუშევრები ერთნაირია თითქმის ყველა მოსწავლისა. შეფასების ნიშნებად, ამის მიუხედავად, ზოგს უწერია „სამი“ ზოგს „ოთხი“, სხვებს „ხუთი“ კი.

ფიზიკის კაბინეტი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. კაბინეტს დათმობილი აქვს ერთი ოთახი, რომელიც ამავე დროს საკლასო ოთახია VI კლასისათვის კაბინეტში, ისე როგორც სხვა საკლასო ოთახებში, არ არის გათმობა.

კაბინეტი ღარიბია ხელსაწყო-იარაღებით, ამის გამო ექსპერიმენტული მუშაობა ფიზიკაში არ არის დამაკმაყოფილებლად დაყენებული. ხელსაწყოები ინახება საპრეპარატოში, ძველ კარადებში, ხელსაწყოები მეთოდური თვალსაზრისით არასწორად არის განაწილებული. რიგ შემთხვევაში არ ხერხდება არსებული ბაზის მაქსიმალურად გამოყენება. ერთად არის არეული სადემონსტრაციო ცდების, ლაბორატორიული სმუშაოებისა და პრაქტიკუმების ჩასატარებლად საჭირო ხელსაწყოები. ხელსაწყოების უქონლობის გამო არ ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები VIII-X კლასებში. მასწავლებლები ატარებენ დემონსტრაციებს (თუმცა არა ყველა) და მოსწავლეები აკეთებენ ჩანაწერებს. ფიზიკის კაბინეტისათვის (გამგე

ილია სვანაძე) მოწყობილობების შექმნა წარმოებს არაორგანიზებულად, წინასწარ შედგენილი გეგმის გარეშე.

მასწავლებელი ი. სვანაძე სისტემატურად მუშაობს თავის თავზე. იმაღლებს მეცნიერულ-თეორიულ და მეთოდურ დონეს. მასწავლეთა ცოდნის შემოწმებისას ახალ მასალასთან ერთად მოითხოვს საკვანძო საკითხების ცოდნას გავლილი მასალიდან.

მოსმენილ იქნა ი. სვანაძის გაკვეთილი IX კლასში. გამოსაკითხი მასალა „კრისტალური სხეულები“ და „ამორფული სხეულები“, ასახსნელი — „კრისტალური სხეულების დნობა და გამყარება“. ნიშანზე გაიძახა ორი მოსწავლე. მათ გაკვეთილი დამაკმაყოფილებლად იცოდნენ. მასწავლებელმა ისინი ობიექტურად შეაფასა. მან ახალი მასალა ახსნა გასაგებად, მაგრამ არ გამოუყენებია თვალსაჩინოება. მისი დახმარებით მოსწავლეებმა ამოხსნეს ორი ამოცანა სხეულთა დნობაზე, მაგრამ ამოცანები ისე სწორად იქნა ამოხსნილი, რომ მოსწავლეთა უმეტესობისათვის იგი გაუგებარი დარჩა. მასწავლებელს არ ჩაუტარებია მუშაობა ახალი მასალის განსამტკიცებლად. კლასის საერთო მომზადების დონის შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა მომზადება დაბალია.

IV კლასში (მასწავლებელი ი. სვანაძე) ჩატარდა საკონტროლო წერა. თემები მასწავლებლის მიერ იქნა შერჩეული. წერა 23-მა მოსწავლემ, 8 მოსწავლემ მიიღო „3“ და 15-მა მოსწავლემ „2“. მასწავლებელს ნაწერების გასწორებისას არ დაუშვია შეცდომა.

ნ. გოგიბერიძე ასწავლის VIII<sup>1</sup> და VIII<sup>2</sup> კლასებს (იგი მათემატიკის მასწავლებლადაც მუშაობს). შემოწმების დღეს მან ფიზიკის გაკვეთილი არ ჰქონია. შემოწმდა VIII<sup>1</sup> და VIII<sup>2</sup> კლასების საკონტროლო წერის რვეულები. ჩატარებული აქვს თითო საკონტროლო წერა. ნაწერები გასწორებულია მასწავლებლის მიერ. მათი ნაწილი არაობიექტურადაა შეფასებული. გაპარულია შეცდომები. საკონტროლო წერის შედეგები ასეთია: VIII<sup>1</sup> კლასი — 12 „ორი“, 8 „სამი“, 1 „ოთხი“; VIII<sup>2</sup> კლასი — 10 „ორი“, 9 „სამი“, აქედან აშკარად ჩანს ფიზიკაში მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე.

მასწავლებელი ნ. მიქაბაძე ასწავლის VI, VII და VIII კლასებში. შემოწმების დღეს ამ კლასებს ფიზიკის გაკვეთილი არ ჰქონიათ.

საკონტროლო წერის რვეულები ფიზიკაში მასწავლებელს არც ერთი კლასისა არ აღმოაჩნდა, შემოწმდა, რამდენად სწორად იყო

გამოყვანილი მეოთხედური ნიშნები. მიმდინარე შეფასების მიხედვით ნიშნების გამოყვანაში დაშვებულა უხეში შეცდომები. მაგალითად: VI კლასის მოსწავლეს ჯ. ნ.-ს მიღებული აქვს სამი და მეოთხედში უწერია „სამი“. შ. ნ.-ს ერთი „ორი“ აქვს მიღებული, მეოთხედურ ნიშნად კი გამოყვანილი აქვს „3“

VII კლასის მოსწავლეები ბ. ბ. და ტ. გ. არც ერთხელ არ შეფასებულან მეოთხედის განმავლობაში, მეოთხედის ბოლოს კი მასწავლებელი „სამს“ უწერს. ც. ბ.-ს „ორი“ აქვს მიღებული, მეოთხედის ბოლოს უწერია „სამი“.

VII კლასის მოსწავლეები მ. ლ. და რ. ზ. არც ერთხელ არ შეფასებულან მეოთხედის განმავლობაში, მეოთხედურ ნიშნად კი „3“ უწერია. ლ. ა.-ს ორი „ორი“ აქვს მიღებული, მეოთხედის ბოლოს უწერია „3“. ასევე არასწორად არის გამოყვანილი ლ. ხ.-ს და ი. რ.-ს მეოთხედური ნიშნები.

ფიზიკის სწავლებისათვის საჭირო პირობები არ არის შექმნილი მექვიენის რვაწლიან სკოლაში. კაბინეტი მოთავსებულია პატარა ოთახში, ხელსაწყო-იარაღები ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ, მაგრამ მათი შესანახი კარადებიც ვერ შეუქმნიათ და ზოგი ხელსაწყო იატაკზეა დალაგებული. ასეთ მდგომარეობას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

### ქ ი მ ი ა

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ქიმია გეგუთისა (მასწავლებელი ნ. შალამბერიძე) და ოფურჩხეთის (მასწავლებელი ე. ლოსაბერიძე) საშუალო სკოლებში.

ამასთან ერთად, წყალტუბოს რაიონის ზოგ შესწავლილ სკოლაში გამოვლინდა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ქიმიის სწავლებაში. ქ. წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლის მეათე კლასში ამ საგანს ასწავლის ე. შვანგირაძე, რომელიც სრულიად ვერ ფლობს საგანს (სპეციალობით ის ბიოლოგია). მოსწავლეებმაც, რასაკვირველია, საგნის აბსოლუტური უცოდინარობა გამოამჟღავნეს.

ასეთივე მდგომარეობაა ცხუნკურის საშუალო სკოლაში, სადაც ქიმიას ასწავლის გ. სვანიძე. მასწავლებლის უპასუხისმგებლობის გამო სრულიად მოუწყობელია ქიმიის კაბინეტი: მასში შეუფერებელი ინვენტარია — ულაზათო გრძელი მაგიდები, უშნო გრძელი სკამებით. მოუვლელია ხელსაწყო-იარაღები. აქ არა აქვთ თვალსა-




ჩინო ძასალების სააღრიცხვო საინვენტარო წიგნი. მათთვის უბრალო, ნ-ფურცლიანი დაგლეჯილი რვეული აქვთ გამოყენებული მასწავლებელი გ. სვანიძე საგანს ძველებურად, ზეპირსიტყვიერად ასწავლის, ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს და ხერხებს. ამის გამო ვერ იყენებს ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებულს სწავლებაში. არ ტარდება ცდები და პრაქტიკული სამუშაოები, ერთი სიტყვით, საგანი ზეპირსიტყვიერად ისწავლება.

ამ სკოლის VIII, IX და X კლასების მოსწავლეებმა შესწავლილი პროგრამული მასალის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს. IX-X კლასებში ჩვენ მიერ ჩატარებული საკონტროლო წერის დროს ასეთი საკითხები იყო შერჩეული:

IX კლასში: წარმოადგინეთ სრული და შეკვეცილი იონური ტოლობებით: 1.  $\text{CaCO}_3 + \text{HCl} =$

2. წარმოადგინეთ მჟავების დისოციაცია ჰიდროქსონიუმის წარმოქმნით: 1.  $\text{CaCO}_3 + \text{HCl} =$

2. წარმოადგინეთ მჟავების დისოციაცია ჰიდროქსონიუმის წარმოქმნით:



X კლასში: 1. რა მოცულობის ჰაერია საჭირო 4 ლიტრი მეთანის დასაწვავად (ჰაერში ჟანგბადი მოცულობით 20%-ია).

2. წარმოადგინეთ სტრუქტურულად ჰექსანის ყველა იზომერა. ასეთი მარტივი საკითხების მიცემის მიუხედავად, IX კლასის 19-მა და X კლასის 17-მა მოსწავლემ შეფასება „2“ დაიმსახურა.


სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ოფშკვითის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ნ. კაპანაძე. IX კლასის მოსწავლეები ვერ განმარტავენ ელექტროლიტურ დისოციაციას და მის თეორიას. წარმოდგენა არ აქვთ იონიტებზე. ვერ ერკვევიან, რა დამოკიდებულებაშია ფუძეებისა და მჟავების ე. ი. ჟანგულთა ჰიდრატების თვისებები მათი იონის მუხტთან და რადიუსთან, არ იციან იონური და ატომური ბმები და სხვა საკითხები.

IX პარალელურ და X კლასებში, მასწავლებლის თხოვნით, ჩატარდა წერა:

IX კლასში: 1. ამოცანა — ნიშადურის ნაჭერი წყალხსნარი შეიცავს 33,3% ნიშადურს, გამოიანგარიშეთ, რამდენი გრამი ნიშადური გაიხსნება ნაჩვენებ ტემპერატურაზე 1000 გრ წყალში.

2. დაწერეთ რეაქციების სრული და შემოკლებული იონური ტოლობები შემდეგი სქემებით:  $\text{Fe(OH)}_3 + \text{H}_2\text{SO}_4 =$

3. წარმოადგინეთ უნგვა-აღდგენით:



X კლასში: 1. ამოცანა — ერთ-ერთი საბადოს გაზი შეიცავს 90% მეთანს (მოცულობით 5% ეთანს, 3%  $\text{CO}_2$ -ს 2% — N-ს. რა მოცულობის ჰაერია საჭირო 1 მ<sup>3</sup> ამ გაზის დასაწვავად.

2. წარმოადგინეთ სტრუქტურულად:  $\text{Ca(H}_2\text{PO}_4)_2$ .

3. წარმოადგინეთ  $\text{C}_6\text{H}_{14}$ -ის ყველა შესაძლო იზომერი სტრუქტურულად.

წერითი ნამუშევრების გასწორებით აღმოჩნდა, რომ IX კლასის 19-მა მოსწავლემ (ე. ი. ყველამ) შეფასება „2“ დაიმსახურა, X კლასის 26 მოსწავლიდან კი 25-ს „2“ დაეწერა.

მოსწავლეთა ამგვარი საოცარი უცოდინარობის მიზეზი იმით უნდა აიხსნას, რომ მასწავლებელი ნაკანაძე უპასუხისმგებლოდ მუშაობს. არ იყენებს ამოცანათა კრებულს სწავლებაში, მოსწავლეებს არ ეძლევათ საშინაო დავალებანი; არ ტარდება ცდები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები. საკონტროლო წერი-  
თი ნამუშევრები ფორმალურად არის გასწორებული, მოსწ. თ. ჯ. და ნ. ჯ. ნამუშევრებში მასწავლებელს არც ერთი შენიშვნა არ გაუკეთებია, შეფასების ნიშნებად კი „3“-ები დაუწერია. სამწუხაროდ. IX-X კლასების მოსწავლეთა ნამუშევრების უმეტესობა არაობიექტურად არის შეფასებული.

## ბ ი ო ლ ო გ ი ა

ბიოლოგიის სწავლებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს მუხიანის საშუალო სკოლის დირექტორი, ამავე საჯნის მასწავლებელი შალვა ხიშნიანიძე: იგი ფლობს როგორც თვით საგანს, ისე მიაი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, გულმოდგინედ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის; შესასწავლი მასალის თეორიულ დებულებებს ნათელყოფს ცდებით, ვარჯიშით, ლაბორატორიული, პრაქტიკული მუშაობით, ცოცხალი ბუნების კუთხეში და სასკოლო მიწის ნაკვეთზე საცდელი მუშაობით და ა. შ. ასევე კარგად მუშაობენ

ამავე სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლები ო. ბაბუნაშვილი და ლ. ბანცელაძე.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ამ საგანს მასწავლებლები ლ. გედეხიძე (ოფურჩხეთის საშ. სკოლა) და ზაძგარაძე (ოფშკვიტის საშ. სკოლა).


მიუხედავად ამისა, აღნიშნული რაიონის შესწავლილ სკოლებში ბიოლოგიის სწავლების საქმეში ყველაფერი რიგზე როდია: ამ საგნის კაბინეტები ყველა შემოხსენებულ სკოლას აქვს, მაგრამ ისინი არასაკმაოდ არიან აღჭურვილნი დიდაქტიური სამუშაოებითა და მოწყობილობით, განსაკუთრებით კი ახალ პროგრამებთან დაკავშირებული თვალსაჩინო მასალებით და ტექნიკური საშუალებებით. თვალსაჩინო მასალების შეგროვება-დამუშავებაში არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული მოსწავლე ახალგაზრდობა.

მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებლად იკის ბიოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი საკითხები, რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ ყველა მასწავლებელი ვერ იჩენს საკმარის უნარს — დააინტერესოს მოსწავლეები საგნის შესწავლით.

## ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები რ. ტყაბლაძე, უშ. ჭიქია (ქ. წყალტუბოს მესამე საშ. სკოლა), თ. კვირიკაშვილი (ოფურჩხეთის საშ. სკოლა), დ. ჩიტაიშვილი (მუხიანის საშ. სკოლა) და მ. ქორიძე (ოფურჩხეთის საშ. სკოლა).

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ოფურჩხეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი თამარ ალხაზიშვილი. VII კლასის მოსწავლეთა უმრავლესობამ არ იცოდა წინა მასალა „ქართველი ხალხის ბრ'ოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ“. ისინი ვერ ერკვეოდნენ იმაში, თუ როგორ დამყარდა არაბთა ბატონობა საქართველოში მოსწავლეებმა ვერ შე'ლეს „დაცვის სიგელის“ განალიზება და საბანისძის სიტყვის შინაარსის სწორად გადმოცემა. საქართველისას ვერც მასწავლებელი ერეოდა ჯეროვნად მოსწავლეთა თხრობაში.



გაკვეთილზე ვერც ახალი მასალა „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობა და საქართველოს გაერთიანების დასაწყისში აიხსნა სათანადო პედაგოგიურ-მეთოდურ და მეცნიერულ დონეზე: მასალა კლასს გადაეცა მოსაწყენად, მონოტონურად, საჭირო დასკვნები არ გაკეთებია ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, არ გამოუყენებია მხატვრული ლიტერატურა, არც წინა მასალის გამოკითხვისა და არც ახალი მასალის გადაცემის დროს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია აღმზრდელობითი მომენტებისათვის და ა. შ.

მასწავლებლის მუშაობის ეს და სხვა მსგავსი ნაკლოვანებები შეპირობებულია იმიტაც, რომ ის ჯერ გამოუცდელია, მხოლოდ პირველი წელია მუშაობს.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა ოფშკვიტის საშუალო სკოლაში.

VI კლასის (მასწავლებელი ვ. მარგველაშვილი) მოსწავლეებმა სუსტად იცოდნენ წინა მასალა „კათოლიკური ეკლესიის ბრძოლა ერეტიკოსებთან“: ვერ ერკვევიან რელიგიის ძალაუფლების გაძლიერების პირობებში, ნათელი წარმოდგენა არა აქვთ ერეტიკოზების არსზე, არ შეხებიან ფეოდალებისადმი პაპ ინოკენტ III-ის მოწოდებას და სხვ არ ჰქონდათ სქემა.

ახალი მასალა „ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა“ მასწავლებელმა ახსნა ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გარკვევის გარეშე, თემის ცალკეულ მონაკვეთებს არ გაუკეთა საჭირო დასკვნები, სახელმძღვანელოში მოცემული მასალა არ გაუმდიდრებია დამხმარე ლიტერატურით და ა. შ.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა აღნიშნული მასწავლებლის გაკვეთილი VIII კლასშიც.

X კლასის (მასწავლებელი ვ. კეპულაძე) მოსწავლეები, რომელთაც წინა მასალად ჰქონდათ მიცემული „დაგეგმვა“, ვერ ერკვევიან დაგეგმვის არსში, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმის დანიშნულებაში... გამოირკვა, რომ მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ადრე შესწავლილ მასალებზეც: არ იციან საკუთრების ძირითადი ფორმები, განუყოფელი ფონდის უდიდესი მნიშვნელობა, ვერ ერკვევიან სამომხმარებლო ფონდის არსში და ა. შ.

ახალი მასალის „სასაქონლო ფულადი ურთიერთობა სოციალიზმის დროს“ ახსნა მასწავლებელმა დაიწყო განცხადებით, რომ ჩვენში არ არის უმუშევრობა, ამას მოაყოლა სხვა ისეთ საკითხებზე მსჯელობა, რომლებიც უშუალოდ თემიდან არ გამომდინარეობს.

ამგვარად, ახსნილი მასალიდან მოსწავლეებმა ვერ გაიგეს ვერც ფულის ფუნქციები და ვერც სასაქონლო ფულადი მეურნეობა.

საზოგადოებრივმოცოდნეობის არაღამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამქლავნეს აგრეთვე X კლასის (მასწავლებელი, სკოლის დირექტორი გ. ძოძუაშვილი) მოსწავლეებმა. მათ არ იციან სამომხმარებლო და განუყოფელი ფონდები, არ იციან, საკუთრების ორი ფორმიდან რომელს ენიჭება უპირატესობა; მასწავლებელმა აღმზრდელობითი მიზნებისათვის ვერ გამოიყენა საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე — პირად, სახელმწიფოებრივ და საკოლმეურნეო ფორმებზე საუბარი.

ახალი მასალა „დაგეგმვა“ ისე ახსნა მასწავლებელმა, რომ არ განუმტკიცებია იგი ცხოვრებისეული მაგალითებით, არც მატერიალური ბალანსი დაუმტკიცებია მაგალითებით, მას გაკვეთილზე არ ჰქონდა სქემა სახალხო მიორნიობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის მოქმედებაზე და სხვა.

### მოსწავლეთა საგნობრივი წრეების მუშაობა

შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში მუშაობს მოსწავლეთა საგნობრივი წრეები, რომელთა საქმიანობას გარკვეულ ხელმძღვანელობას უწევენ სათანადო საგნების მასწავლებლები.

წრეების მუშაობის ნაკლოვანებათა შორის ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს:

ზოგ შემთხვევაში წრეები დაკომპლექტებულია არასწორად: ცხუნკურის საშ. სკოლის ფიზიკის წრეში გაერთიანებულია VI-X კლასების მოსწავლეები. ასევე არასწორადაა დაკომპლექტებული მათემატიკის საგნობრივი წრე წყალტუბოს მესამე საშუალო სკოლაშიც.

მშობლიური ლიტერატურის უფროსკლასელთა წრის გეგმაში გათვალისწინებულია მხატვრული ნაწარმოებების გამომეტყველებითი კითხვა, დაბალი კლასების წრის გეგმაში კი — რეფერატების წაკითხვა, რაც სწორი არ არის.

ფიზიკის წრის სამუშაო გეგმაში შეტანილი საკითხები ძალიან მარტივია: „მძიმე თეფში“, „უცნაური კოლოფი“ და „ცეცხლგამძლე ქსოვილი“. გეგმაში შეტანილია აგრეთვე მარტივი საოლიმპიადო ტიპის ამოცანები.

ზეწოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი მოსწავლეთა სკკპ-  
ნობრივ წრეებს ფორმალურ ხასიათს აძლევს.



## სასკოლო მუშაობის დაგეგმვის ზოგი საკითხის შესახებ

წყალტუბოს რაიონის შესწავლილ სკოლებში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წინასწარ მოფიქრებული და სათანადო მოთხოვნათა მიხედვით შედგენილი სკოლის წლიური, პედაგოგიური საბჭოს, მშობელთა კომიტეტის, კლასის ხელმძღვანელთა, პიონერხელმძღვანელთა ნახევარწლიური, სასკოლო და სხვ. სამუშაო გეგმების მიხედვით მიმდინარეობს.

მაგრამ, ამასთან, სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში შეინიშნება მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი: არაიშვიათად, გეგმებს აკლია ოპერატიულობა, კონკრეტულობა, მიზანსწრაფულობა. ზოგჯერ, მაგალითად, სკოლისა და პედაგოგიური საბჭოების გიგანტური განხილვისას აშკარად მივიღივართ ასეთ დასკვნამდე: სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ან ფორმალურად მოეკიდა მათ განხილვას, ან, რაც არანაკლებ სამწუხაროა, კვალიფიციურად, შემოქმედებითად ვერ განიხილა მათი საქმიანობა, ვერ ჩაწვდა მათი მუშაობის არსს.

ცხუნკურის საშუალო სკოლის წლიური სამუშაო გეგმების შესავალში მოხსენებულია სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სესიის მასალები და რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებანი (ზოგადად). ჯერ ერთი, კონკრეტულად არა ჩანს, რა ღონისძიებათა გატარებას აპირებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, არა ჩანს, სახელდობრ, რომელი სესიის მასალებზეა ლაპარაკი, ან სადირექტივო ორგანოების რომელი გადაწყვეტილებანი აქვს მხედველობაში წლიური სამუშაო გეგმის ავტორს. აქ არა ჩანს, თუ რა მუშაობა ჩატარდება სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილებისა და რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გასული წლის 10 ივლისის დადგენილების შესასრულებლად.

ზოგი სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში არა ჩანს მიმდინარე წელს წავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

გეგმებში არაიშვიათად ვხვდებით ზოგად ფრაზებს: „გატარდება ლოხისძიებანი მასწავლებელთა დახელოვნებისათვის, მიღებულ იქნება ზომები საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განსახორციელებლად ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების გასაუმჯობესებლად და სხვ. და ა. შ., მაგრამ, სახელდობრ, რა გაკეთდება, კონკრეტულად — არა ჩანს.

ნაკლოვანებებით ხორციელდება პედაგოგიური საბჭოების გეგმები და მუშაობა. მათში ან საერთოდ არ არის განხილული სასკოლო მუშაობის ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი, ან განხილულია ზერეოდ, საქმის არსებითი მხარის ანალიზის გარეშე; ასე მაგალითად, სასწ. წლის I-ელ მეოთხედში ჩატარებული მუშაობის განხილვისას მთავარი ყურადღება სტატისტიკურ მონაცემებს ეთმობა: რამდენი მოსწავლეა სკოლის ამა თუ იმ კლასში, რამდენი ასწრებს, რამდენი ვერ ასწრებს, რამდენი მეორეწლიანია და ა. შ. მაგრამ, თუ რა მუშაობა ჩატარდა ან უნდა ტარდებოდეს ამ რიცხვებს იქით მდგომ ცოცხალ ადამიანებთან, ამის შესახებ ნაკლებად არის მსჯელობა.

წყალტუბოს მესამე, ცხუნკურისა და სხვა სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს განხილული არა აქვთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1973 წელს გამოქვეყნებული „მითითებანი 1973/74 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის ძირითად მიმართულებათა შესახებ“.

გარკვეული ხარვეზები შეინიშნება კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებშიც: როგორც ჩანს, ისინი გულმოდგინედ არ სწავლობენ კლასის მოსწავლეთა შემადგენლობას, ინდივიდუალურ მიდგომას ვერ იჩენენ მათადმი, არ იციან კლასის მუშაობის ავკარგი, საჭიროებანი და ამის მიხედვით მუშაობის დაგეგმვისადმი შემოქმედებითი მიდგომა და სხვ. სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას ის გარემოება, რომ სხვადასხვა კლასის, და, რაც უფრო საოცარია, სხვადასხვა კონცენტრის კლასის, ხელმძღვანელთა გეგმები თითქმის ერთმანეთის ასლს წარმოადგენს.

არაერთმა მასწავლებელმა, სამწუხაროდ, ზოგმა თვით სკოლის ხელმძღვანელმაც კი, არ იცის გაკვეთილის გეგმის შედგენა; ასეთია

მაგალითად, ოფშკვითის სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაობის დარგში ლ. ბეშკენაძე.



## ზოგი რამ მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის შესახებ

ერთგვარი ხარვეზები შეინიშნება მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობაში.

ზოგ სკოლაში, მასწავლებელთა სიმციროს გამო, არ არის შექმნილი მეთოდგაერთიანება; მაგალითად, მუხიანის საშ. სკოლაში ფიზიკის გაერთიანება არ არის, მაგრამ მასწავლებელი სხვაგანაც არსად არ არის გაერთიანებული.

მეთოდგაერთიანებათა სამუშაო გეგმებში თითქმის ვერ ვხვდებით ღია გკავეთილებს, მასწავლებელთა ურთიერთდასწრებას ან ახალი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების განხილვის შემთხვევებს.

სასკოლათა შორის მეთოდგაერთიანებებში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ მათში გაერთიანებული პერიფერიული სკოლების მასწავლებლები, ისინი იშვიათად გამოდიან მოხსენებით.

მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე წაკითხული მოხსენებებიდან არა ჩანს სათანადო პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის ცოდნა, მსჯელობა მათში განვითარებულ დებულებათა შესახებ და ამ ფონზე ის ახალი, რაც გარკვეულ რაციონალურ მარცვლად შეიძლება მივიჩნიოთ მომხსენებელი მასწავლებლის პრაქტიკულ მუშაობაში.

ნაკლოვანებანი მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობაში ერთგვარად შეპირობებულია იმითაც, რომ რაიონის პედაგოგიური კაბინეტი არასაკმაო მეთოდურ დახმარებას უწყევს სკოლებს.

### სასკოლო მუშაობის სხვა საკითხები

რაიონის სკოლებში ღარიბია სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, მაგრამ ისიც, რაც არის, ხშირ შემთხვევაში გამოუსადეგარია სკოლისათვის: რა სახის წიგნებს არ შეხვდებით აქ, მაგრამ თითქმის არ არის წარმოდგენილი ქართველი, რუსი და სხვა ხალხთა კლასიკოსი მწერლები, არ არის ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული, ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული, უცხო

სიტყვებისა და სხვ. ლექსიკონები. თითქმის არ არის პედაგოგიური მეთოდური ლიტერატურა მასწავლებელთათვის, საერთოდ, დაბალდონეზეა დაყენებული სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა.

რაიონის შესწავლილ სკოლებში არასწორად არის გაგებული ფაკულტატიური მეცადინეობის არსი. ამ მიზნისათვის განკუთვნილი საათები მასწავლებელთა განაკვეთის შესავსებად არის გამოყენებული. ფაკულტატიური საათები ტარდება, როგორც დამატებითი გაკვეთილები. ჯერჯერობით, შემოხსენებულ სკოლებს ფაკულტატიური მეცადინეობისათვის არც საჭირო ბაზა აქვთ, არც მოსწავლეები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ ამა თუ იმ საგნის უფრო ღრმად შესწავლისათვის და არც სათანადო კვალიფიკაციური მასწავლებელი.

ამჟამად აღნიშნული სკოლების უპირველესი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ განახორციელონ ღონისძიებანი აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის წინააღმდეგ, რადგან ეს გარემოებანი არაიშვიათად ხდება სკოლიდან მოსწავლეთა ჩამოშორების, დანაშაულის გზაზე მათი დადგომისა და სხვ. მიზეზი.

მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედის ბოლოს შეიკასებულა 11.556 მოსწავლიდან ასწრებს 10228 (88.5%); ვერ ასწრებს 1328. რაიონის სკოლების 112 მეორეწლიანიდან ვერ ასწრებს 18 მოსწავლე. საინტერესოა ალკვ წევრთა და პიონერთა მოსწრება: 1869 კომკავშირელიდან ვერ ასწრებს 162. 5413 პიონერიდან კი 714.

დიდა 1-ელ მეოთხედში მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. მისმა რიცხვმა 46086 საათი შეადგინა, მათ შორის საპატიოა 34250, არასაპატიო 11.830 საათი.

შემოაღნიშნულ ვითარებაში გასაკვირიც არ არის, რომ დაბალია საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა მომზადების დონე. საკმარისია ითქვას, რომ 1973 წელს 852 კურსდამთავრებულიდან უმაღლეს სასწავლებელში სწავლას აგრძელებს მხოლოდ 33, სხვადასხვა პროფილის ტექნიკუმში — 160, პროფტექნიკურ სასწავლებლებში კი — 124. 90 კურსდამთავრებული სრულიად დაუსაქმებელია — არც მუშაობს და არც სწავლობს.

სკოლებში არასაკმაო ყურადღება ეთმობა მშობელთა და საზოგადოებრიობას შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდას. წყალტუბო იმ რაიონთა რიცხვში შედის, რომელთაც არა აქვთ მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი.

რაიონის სკოლებში ადგილი აქვს მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევებს: გასულ, 1973 წელს ადგილი ჰქონდა არასრულწლოვანთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის 9 შემთხვევას 16 მონაწილის მიერ (არის პირადი და სახელმწიფო ქონების დატაცებისა და ამორალური ქცევის შემთხვევები).

ნაკლოვანებანი წყალტუბოს რაიონის ზემოხსენებული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში იმითაც არის გამოწვეული, რომ სკოლების ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი არასაკმაო პასუხისმგებლობეს იჩენს თავისი მოვალეობის შესრულებისადმი.

რაიონის 37 სკოლიდან, სადაც დირექტორებიც და მოადგილეებიც ჰყავთ, 14-ის ორივე ხელმძღვანელი ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტებია, რომლებსაც, გასაგები მიზეზის გამო, არ შეუძლიათ საქმის ცოდნით, კვალიფიციურად უხელმძღვანელონ საბუნებისმეტყველო და მათემატიკური ციკლის საგნების სწავლებას.

აღნიშნული მიზეზების გამო, არაიშვიათად ვხვდებით მოვალეობის მოხდის მიზნით დაწერილ ზერელე, არაფრისმთქმელი გაკვეთილების ანალიზებს, რომლებიც არაფერს არ აძლევენ არც მის დამწერს და არც მასწავლებელს.

### **განათლების განყოფილების მუშაობის ზოგი საკითხის შესახებ**

წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ივ. მელაძე) და მისი მეთოდური კაბინეტი (გამგე მ. ჯანგაგაძე) დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე კადრებით, რომლებიც ძირითადად სწორად ხელმძღვანელობენ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითსა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას.

განყოფილებას მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქვს მთელი რიგი აქტუალური საკითხების შესწავლა.

ამასთან ერთად, განყოფილებას აქვს სახალხო განათლების საბჭოს IV კვარტალის სამუშაო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 5 საკითხის მომზადება.

გარდა ამისა, განყოფილებას ცალკე აქვს მოსწავლეთა შორის უხედამხედველობისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ გამაფრთხი-

ლებელი და პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა გეგმა და პედაგოგიურ კაბინეტს — თავისი სამუშაო გეგმა შესასრულებელი ნაკითხები ძირითადად სწორად არის შერჩეული.

განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკთა მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათები შესწავლილი საკითხის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა. საკითხები მზადდება რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების განსახილველად. დასახული ღონისძიებანიც, ამა თუ იმ საკითხების გამო, შემუშავებული, საქმიანია, მაგრამ განათლების განყოფილება ჯერ კიდევ საკმაო ყურადღებას არ უთმობს მიღებული დადგენილებების შესრულების, მოწინავე მუშაკთა გამოცდილების განზოგადებისა და, მეორე მხრივ, შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ საჭირო ღონისძიებათა გატარებას.

გარკვეული ნაკლოვანებანი შეინიშნება სკოლების პედაგოგიური და ხელმძღვანელი მუშაკების შერჩევის, აღზრდისა და დაწინაურების საქმეში.

განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს რაიონის სკოლებში მასწავლებელთა შორის მეთოდურ მუშაობას. ნაკლოვანებანი, რომელნიც ამ დარგში სკოლებში შეინიშნება, მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია სწორედ ამ მიზეზითაც.

პედაგოგიური კაბინეტი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს (თუ ვერ აქცევს) სკოლებში ერთიანი ენობრივი რეჟიმის დანერგვას. მასწავლებელთა და სკოლების ხელმძღვანელი მუშაკების წერითსა და ზეპირ მეტყველებაში, აგრეთვე სასკოლო დოკუმენტებში ადგილი აქვს უხეში ენობრივი შეცდომების დაშვების შემთხვევებს.

ბრიგადის აზრით, განათლების განყოფილებამ და მისმა პედაგოგიურმა კაბინეტმა ფართო შემოქმედებითი მუშაობა უნდა გააჩაღონ რაიონის სკოლების საქმიანობაში შემჩნეულ ზემოხსენებულ და სხვა მსგავს ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ და უზრუნველყონ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულება.

\* \* \*

ცალკეული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებზე ყოველ შესწავლილ სკოლაში ჩატარდა პე-

დაგოვიური საბჭოს სხდომა; ამავე მიზნით, კერძოდ, 25 ნოემბერს, მოწვეულ იქნა მთელი რაიონის სკოლების დირექტორების (გამგე-ების), სასწავლო-აღმზრდელი მუშაობის დარგში მათი მონაწილეობის, არეთვე ცალ-ცალკე ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენების, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა თათბირი.

ზემოაღნიშნული სკოლების მუშაობის შესწავლის შედეგები გაეცნო საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს რაიკომს.

## დასკვნა

საჭიროდ მიგვაჩნია, საკითხი წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის შესახებ განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სკოლების სამმართველოს ბრიგადა:

აღ. ალასანია, ირ. ბაქრაძე, გ. გედენიძე, ს. დვალი  
(ხელმძღვანელი), კ. კიკაჩიშვილი, დ. კომლაძე,  
თ. მელქაძე, ე. ქურციკიძე, აღ. შანავა, შ. ჩხეიძე,  
გრ. ხეცურიანი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 41 — წყალტუბოს რაიონის განთლების განყოფილებისა და ზოგი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 3

რედაქტორი უშ. ოზოლაძე  
კორექტორი ე. ქუციაძე  
ტექნიკური რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

შანი 10 კპვ.

ბელმოწერილია დასაბუქდალ 18/IV-74 წ. ანაწყოების ზომა 6X9,5,  
ქალაქის ზომა 60X84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3.

შეკვ. № 349

უე—05439

ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,  
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета  
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета  
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19